# სახალხო გაზეთი

№ 201 სუთშაბათი, 6 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 201


ГРУЗИНСКАЯ ГОСУДАРСТВЕННАЯ ПУБЛИЧНАЯ БИБЛИОТЕКА ИМЕНИ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ


განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., ბოლანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ცასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., ბოლო—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სოფაზს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—პის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, პიახნიცკის ქ., ს. სიტინისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოხსაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წერილის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე გვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

წელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაბეჭდაკი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ბანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул., N 12, Семену Пагалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (ქვირიხა) 7 კაპ.


## ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ.

ამ ნომერში ექვსი გვერდი

ГОСУДАРСТВЕННАЯ ПУБЛИЧНАЯ БИБЛИОТЕКА ИМЕНИ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ при ЦК ВКП(б)


### მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე **სახალხო გაზეთი** წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავ პროგრამით, როგორც წარსულ წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გავრცელების გარდა გაზეთს ეძლევა ყვირელი

**სურათებიანი დამატება**

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებებით:** წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირიხა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის ბაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი წეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, გვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუადღევის 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა გვირა-უქმე დღეებშიაც იქნება დია. ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

**Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.**

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანათისა.

3 იანვარს მოსკოვში გარდაიცვალა სტუდენტი

**ვასო ხიდირბეგიშვილი,**

რასაც გულმოკლული მშობლები კნეინა ოლდა გრიგორის ასული და ი-დი ილია დიმიტრის ძე ხიდირბეგიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. დაკრძალვა სურამში მოხდება. (2—12—2)

ბავშვ და ტანსა მშვენდიშვილები, სოფიო, ანნა, გვრო და დეკანი გვრისიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ უდროოდ გარდაცვალებას ტფილისის სემინარიაში კურს დამთავრებულის

**ვანო გარსიაშვილისას.**

დაკრძალვა მოხდება 8 იანვარს, 1911 წელს, სოფ. საგარეჯოში. (1—13—1)

კვიაფა სოხა წერეთელი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ერთად ერთ ძმის

**ემილიკოსის**

გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ პიათურიდან, 7 იანვარს, დილის 10 საათზე, საჩაერეში, სადაც იმავე დღეს დაჰკრძალავენ. (1—14—1)

**= ზუგალაშვილების სახალხო სახლი =**

სუთშაბათს, 6 იანვარს, ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა მიერ **ანნა ჩარიგაძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა

**ალ. ყაზროვსკისა**

**„შენანაშაულთ დასჯილნი“**

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ან. ჩარგაძე, ნებიერიძე, ნაკამ-ძე, ციმაკურიძე და ბ ტუტაძე, ბ-ნნი: ნ. გოგირიძე, მ. ტრეველი, ბაქრაძე, ზაზანაური, ნარი და ტაზიშვილი.

ბილეთები იყიდება კასაში 12—2 ს-მდე და ხალამოს 6—8 ს-მდე. ბილეთების ფასი: 15 კ. 1 მ-დე.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

(1—10—1) **გამგე: რატი შვილი.**

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 44 (2)

სუთშაბათს, 6 იანვარს, 1911 წ.

**ნიკ. გვარაძის სასარგებლოდ**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

**შირგელად გასახდების შემდეგ**

**თამარ ბატონიშვილი**

ისტ. დრამა 5 მოქ. კოტე მესხისა.

მონაწ. შორს.: ქალ.ტ.ონნი: დავითაშვილი, კარგარეთელი, ლეკიაშვილი, შოთაძე, ჩარკვიანი, ჯაფარიძე; ბატონნი: არაბული, გეწია, გამყრელიძე, გვარაძე, ივანიძე, ყიფიანი, ზარდალიშვილი, ჭიაბერი, ჩქონია, ტატარაძე, შალიკაშვილი, შამბეგიანი, ხასპაროვი, ცინცაძე, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: სპეციალური 50 კ.—50 კ. პარტერი 75 კ. 3 შ. 50 კაპ. ლოჟები 5 მან. ბან. 9 მანეთამდე. შეკერძებითების კუპონები ეს კაპ.

ბილეთების ჩარიგება: „ლალატი“, „ცოდვ ივანე შე“ მრისხანე“, „ოტელო“, „ლეგან ბატონიშვილი“, „მოხა ვანნა“.

**დასაწყისი ხალამოს 8 საათზე.**

**ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.**

შენიშვნა. ბილეთი 13 იანვარს, ა. შ. კარგარეთელისა. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

1911 წლის იანვრის 10-ს, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში

**დანიშნულია დამატებითი მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასში.**

ვისაც სურს ეგზამენზე მივიდეს, იმან უნდა წარმოადგინოს ღირიშნულ რიცხვამდის შემდეგი საბუთები: მეტრიკული და ყვავილის აცრის მოწმობები და აგრედვე იმ სასწავლებლის მოწმობა, სადაც იმას უსწავლია. (2—3—2)

**ახალციხის ვაჭთა პროგიმნაზიის**

**ი ნ ს პ ე ქ ტ ო რ ი**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მოსამზადებელსა, უმცროსსა და უფროს განყოფილებაში) და პირველ კლასში მოწაფეთა მიღება **გრძელდება;** მომავალ სამოსწავლო წლიდან **მეორე კლასი იხსნება.** განზრახულია პროგიმნაზიასთან უცხო ქალაქელ მოწაფეთათვის საზოგადო ბინა (პანსიონი) მოეწყოს. პროგიმნაზია მთავრობისაა. (2—2—2)

რადგანაც გვხურს ხელ-მოკლე ხალხს შედარებით იაფ-ფასად მივაწოდოთ

**კაპიროსებს,**

რომელიც ყველა თუთუნის მწეველის დააკმაყოფილებს

**ა. ენფიანჯიანცის**

**ქარხანამ გამოსცა კაპიროსები:**

**„ლევ“, 20 ცალი 5 კაპ.**

პაპიროსები **„ლ ე ვ ი“** ისეთი **მშვენიერია** ყოველ-მხრივ, რომ ერთხელ თუ დაიგემოვნეთ, მხოლოდ მისი წევას დაიწყებთ,

**რადგანაც ამ ფასად არსებულ უკეთესია პაპიროსებზე უკეთესია.**

(10—817—4)

**ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების**

**სამუსიკო სკოლა**

(საპიორის ქუჩა, ღვინტის სახლი № 18)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასი, სიმღერისა (solo), თეორიისა და ნოტების კითხვის (solfegio) და ხოროს კლას. დაიწყება 2 იანვ. ყოველ დღე (კვირა-უქმ. გარდა) მთელ სამოსწავლო წლის განმავლობაში, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე, და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანტორაში. ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად კიდევ: ფორტეპიანის კლას. ტფილ. საიმპერ. სამუსიკო სასწავლებელ დამთავრებული **თამ. ს. შაბურიშვილა** და სკრიპკის კლას. გამოჩენილ სკრიპკის დამკვრელ. სოლისტ **ფრანც ანდრეიჩკოვ** (ვენაში) კურსდამთავრებული **ვ. კ. რომაშოვსკაია.** სწავლის ფასი: ფორტეპ., სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75 მ., თეორია, და ნოტების კითხვა 15 მან. წელიწადში, სწავლის ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლისა წინ და წინ.

**სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან** (8—332—3)

**დაიბეჭდა და იყიდება**

ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

**ზაქ. კ ფალიაშვილის:**

№ 1. **„მრავალ-ჟამიერ“**; მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

№ 2. **ორი ქართული რომანსი:** ა) **„ნანა შვილო“** ფასი 40 კ. და ბ) **„ახალ აღთქმა სულო“** ფასი 40 კაპ.

№ 3. **„ქართული ხალკლესიო საგალობლები“** (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მან. 25 კაპ.

№ 4. **რვა ქართული სახალხო სიმღერა** ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკომპანიმენტით ფასი 1 მან.

№ 5. **ქართული სახალხო სიმღერების კრებული** (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მან. 50 კაპ.

**იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში**

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь“-ში (გოლოვინ. პროსპ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქლ გეხისა. **მთავარი საწყობი** ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (სახიორის ქუჩა N 18). (10—815—7)

**მოითხოვეთ გუნებრივი**

**კახური ღვინოები**

**თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს**

**საკუთარ ვენახებიდან.**

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—27

**გუნებრივი კახური ღვინოები**

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

**ძმ. ხელაშვილებისა.**

სარდაფში ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11. სარდაფში ინახება გარდა ახალისა მველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

**ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.**

(20—195—20) **პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება**

**მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამზადისით განყოფილება.

ჭყონდიდის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვიქტელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაძე ვ. დ.:** შინ. და ბაკშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკა გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარიშნი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტროონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სატასურით. (200—ნ.—865)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

განკუთვნილია ყოველ დღე მოსახარჯად ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაბაჯაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. ჩიქვილაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. ვ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. ჭოჭუა**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ალ-ნა ალექსიძისა ქ. ვ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.

**ე. ნ. ფეოდოროვა**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოხრაგებით (წო 5.—528)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამზედრო ექიმებისა გარდან მხზიარულე ავადმყოფთათვის. ანჭის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მაზლობლად, ტელეფონი N 482.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ა. ვ. ახვლედიანი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ენუკაძე**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**დ. გრეცა**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

**მოსხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ

**ნოვაცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**უკლებდნიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

**თეოდაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

**სარაჯ**—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

**ვებილოვოზოროვი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ოთხელაანიძე**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**დ. ა. ჭიაბერაშვილი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

**პოხდოევი**—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

**ხატახოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—6 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—38)

**ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე**

ძ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, საბ ღი თაყ. ნიკოლაძისა. (თ.—188 51

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მისტერ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს გვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

**ვერა, ყორდანოვის ქ., N 20.** (0—ნ.—21)

**ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ნაღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—301

**ექიმი ვ. ს. ვუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჯორჯაძის ქ., № 9. (ვ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

განიხა და გენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. ხალამ. 6—7 ს. წუთშაბათობითი ცხლად დილით 8—9 ს. გვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოხკოვის ქ. N 4, ხაზლი გამაშვილისა. (ვ)

**ექიმი ძ. ქ უ თ ა ი ს შ ი თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა ხაზღვარ-გარეთიდან და გაახალხა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი და სპეციალურად ვენერიულ სნარდე და სასქესო ორგანოების სნეულებათა სიფილისის და კანის სნეულებით ავად მყოფთ. 9—12 ს. 6—8 ხალ., ტფილისის ქ გილარდების ხაზლი, (50—170—45)

**ექიმი ქ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დღით 9—2 საათამდე, ხალამ. 5—7 საათ. იოსებაშვილების ქ. N 7.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი რ. დ. ჭაბავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგინოვის ქუჩა N 7. თ.—180—67

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი ქ ბ ი ლ ი ს ა**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, ხაზლი მდივნისა. (ვ)

# ტფილისი, 6 იანვარი

**ძველის გზით.** რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო ცხადი ხდება, რომ რუსეთი მხოლოდ გარეგნულადა სჩანს განახლებულად. ძველებურს აზროვნებასა და მოქმედებას, ძველებურს პოლიტიკას ისევ ღრმადა აქვს გამჯდარი ფესვები, როგორც აქამდე თვითოეული დღე რუსეთის ცხოვრებისა ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთებს გვაძლევს... ბუხარაში ტახტზე ახალი ემირი ავიდა. ბუხარა ვასალურ დამოკიდებულებაშია რუსეთთან. ბუხარის ემირები ყოველთვის მორჩილებით ექცეოდნენ თავიანთ სიუზერენებს და ლოიალურს გრძნობებს უცხადებდნენ. მიუხედავად ამისა, ბევრს მაინც ეშვი ებადება მათს ლოიალობაში. ასეთს ეშვებს აცხადებს, სხვათა შორის, ოქტომბრისტების გაზეთიც. რაში დაინახა ლოიალობის დარღვევა ზემოხსენებულმა გაზეთმა? ბუხარის ემირს გარეშე საქმეთა მინისტრისათვის განუცხადებია სურვილი, რომ ემირების მოქმედებას თვით მინისტრი ხელმძღვანელობდეს. დღეს ვასალურ სახანოებთან დამოკიდებულება თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის პრერეგატივას შეადგენს. გაზეთის აზრით, ბუხარის დიპლომატები ყოველთვისა სცდილან გენერალ-გუბერნატორის პრერეგატივები შეემცირებინათ და პირდაპირი კავშირი დაეჭირათ მინისტრთან. ამაში ხედავს ოქტომბრისტების გაზეთი ლოიალობის ღალატს და მოკლედ, მაგრამ ფრიად კატეგორიულად, აცხადებს, ბუხარის დამოუკიდებლობა უნდა მოისპოსო. „გარეშე საქმეთა სამინისტრო, რადაც გამოუურკვეველ და ბუნდოვან მოსაზრებებით, მომხრეა ბუხარის შინაური დამოუკიდებლობისა,—სწერს გაზეთი,—მაგრამ არავითარი არასასურველი შედეგები არ მოჰყოლია კოკანდის სახანოს გაუქმებას. პირიქით, რუსეთის ბატონობის ქვეშ, ფერგანის მცხოვრებლებმა ისეთნაირ კეთილ-დღეობას მიაღწიეს, რანაირიც საცოდავ ბუხარელებს სიზმარშიაც არ უნახავთ... ბუხარის დამოუკიდებლობა მხოლოდ აფუჭებს ჩვენს ურთიერთობას ავღანისტანთან, რადგანაც ავღანლები სრულიად უუფლებონი არიან სახანოშიო“.

ასე თავისუფლად სწყვეტს ოქტომბრისტების გაზეთი მთელ სახანოს ბედ-იღბალს და ურჩევს, ვისგანაც ეს დამოკიდებულია, ისევ ძველის გზით იაროს და ბუხარის დამოუკიდებლობა სრულიად მოსპოს. ისევ ძველის გზით—ჯერ ვასალურ დამოკიდებულების დამკვიდრება და მერე სრული მოსპობა შინაურ დამოუკიდებლობისა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

### საზღვარ-გარედ.

5 იანვარი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა კუტანის შეკითხვაზე პიშონმა განაცხადა, მთავრობა ბაღდათის გზის გაყვანისათვის საფრანგეთის თანხის დაბანდებაზე უარს არ იტყვის, თუ საფრანგეთს სათანადო უპირატესობა მიენიჭება ხელშემწყო სახელმწიფოთაგან. პოსტდამში მოლაპარაკება სპარსეთის საქმეებს ეხებოდა, სადაც რუსეთი რკინის გზის გაყვანას აპირებს.

ამასთანავე სხვა-და-სხვა ლიანდაგთა გაერთიანებაზედაც იყო თათბირი, რაზედაც გერმანიამ განაცხადა, გზების შეკეთებაზე ხელს ნურავინ შეგვიშლისო. საფრანგეთი რა მოსაზრებით არ უნდა დასთანხმდეს ამაზე—კითხულობს პიშონი, საღამოს სხდომაზე ჟორესმა წინადადება შეიტანა, სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოს ხოლმე ხელშეკრულებანიო.

პიშონი წინააღმდეგია, რომ საფრანგეთის ეროვნულ ღირსებისა და სასიცოცხლო საკითხების საქმე სამედიატორო სასამართლომ გადაწყვიტოს ხოლმე, თუმცა საფრანგეთი ასეთ ხელშეკრულებათა წინააღმდეგი არ არის, პირიქით იგი ეხლა დანიასთანაც სდებს ხელშეკრულებას. ჟორესის წინადადება გარეშე საქმეთა კომისიას გარდაეცესო—თხოულობს პიშონი.

**შელბვილი** (კონტური). ციხეში ბრძო შეიჭრა და სამი ზანგი ლინჩის კანონით გაასამართლა. მათ თეთრკანიან ქალთა გაუპატიურებას აბრალებდნენ.

**პარიზი.** პალატაში რევოლვერის დამცლელი ჟიზოლი ეხლა ხან საგუეთიდან გაჰსულა. მან განაცხადა, არავისთვის არ დამიმიზნებია, მხოლოდ დეპუტატთა მძულვარებამ მასროლინაო. მირმანის ჭრილობა მსუბუქია.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა ბინერტმა განაცხადა, კეთილ-სინდისიერსა და ძიუდგომელ პოლიტიკას დავიცავთ, ჩეხიაში ენის გამო ატეხილ დავას მოვაწეს-რიგებთო.

**ვენა.** სპარსეთის რეგენტი ნასრულ-მულიკი თეირანისაკენ გაემგზავრა.

**ლონდონი.** დიდი-ბრიტანიის ნავთსადგურებში და ქარხნებში მუშათა კავშირის მდივანმა კორესპონდენტს (?) განუცხადა, მეფე გიორგის კურთხევის დღეს, ინგლისის, გერმანიისა და ამერიკის ნავთ-სადგურებში საერთო გაფიცვა მოჰხდებაო. გაფიცულობის გეგმა საიდუმლოაო. მდივნის სიტყვით, გაფიცისათვის ამ დღის არჩევა უბრალო ამბავიაო.

**კრეტა.** წყალ-ქვეშ მავალი გემი № 3 ჩაიძირა, რადგანაც ერთი განყოფილება წყლით გაივსო. 48 სათის სამყოფი მჟავბადი აქვთ და ამიტომ, იმედოვნებენ გადარჩებიანო. დაძირულმა გემმა ტელეფონის საშუალებით თავის განსაცდელი აცნობა ვისაც ჯერ არს.

**ბარსელონა.** ქვა-ნახშირის მაღაროებში და გემთ-აღმშენებელ ქარხნებში მომუშავენი გაიფიცნენ.

**ჰავაი.** გარეშე საქმეთა მინისტრი პარიზში ბყოფ ნიდერლანდის ელჩის პირით თხოულობს, რომ პიშონის სიტყვა, ნიდერლანდის ნაპირების გამაგრების თაობაზე მთლიანად აუწყონ. ნიდერლანდიის მთავრობას სანაპიროთა გამაგრების საქმეში რომელიმე სახელმწიფოს დასტური არა სჭირდებაო.

**სტოკჰოლმი.** რეიხსტაგის გახსნას მეფე დაესწრო და სეფე სიტყვა სთქვა: სუყველა სახელმწიფოებთან კეთილ-განწყობილება გვაქვს და სახელმწიფოს საჭიროებანი უსესხოდ შევიძლიათო.

**ბერლინი.** „ნორდ-დეიჩე-ალჰემეინე-ცაიტუნგი“ გერმანიის იმპერიის 40 წლის თავის შესრულებას სიამაყით აცხადებს და დასძენს,—გერმანიის ხალხი წინმსვლელობისაკენ დიდის ნაბიჯით მიილტვისო.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ამას წინად ქალაქ ვერნისა და პრეეობრაჟენსკის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ხელმწიფე იმპერატორმა შესწირა 50,000 მ. წითელ ჯვრის საზოგადოებას—15,000 მ. დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა—10,000 მ. ხელის მოწერა მიიღება საზამთრო სასახლეში მეფე იმპერატორის კანცელარიაში. ხელის მოწერა გრძელდება.

**მოსკოვი.** ოთხი ყაჩაღი თავს დაეცა რუსთა საზოგადოების მეარტელეს თავის ქალთან ერთად მიმავალს ნიკოლოზ სილინს. სილინი მოჰკლეს. ქალი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. გაიტაცეს 495 მან.

**პეტერბურგი.** პროფესორი ვიაკინი სწავლა-განათლების მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

წითელ. ჯვრის საზოგადოებამ თურქესტანში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის 10 ათასი მანეთი გადასდო.

**პეტერბურგი.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგ მილერის თავმჯდომარეობით კერძო თათბირი მოჰხდა იმ საკითხის განსახორციელებლად, რომ რუსეთის ქვა-ნახშირის მაღაროები სახელმწიფომ შეისყიდოს და ნახშირის სავაჭრო გემებისთვის გადაზიდვა მოაწყოს.

**პეტერბურგი.** ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების გამოფენა გაიხსნა.

ვიპრობა-მრეწველობის მინისტრმა მომთამადენთა მე-16 კრების გეგმა დაამტკიცა.

ამავე სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა, სამშობლო გემთ-აღმშენებლობის ასაღორძინებლად იმ ქარხნებს, რომელნიც გემებს რუსეთის მასალით აშენებენ, ჯილდო დაუნიშნოთო.

## ახალი ამბები

### ტფილისი

◆ **შავის ზღვის გუბერნიის გამოყოფა კავკასიის სანამესტნიკოდან.** კავკასიის სანამესტნიკოდან შავის ზღვის გუბერნიის გამოყოფისა და იქ ერობის შემოღების საკითხს სახელმწიფო სათათბირო ამ თვის ბოლოში განიხილავს. იმედოვნებენ, რომ საკითხი სასურველად გადასწყდება, თუ მის განხორციელებას კავკასიის უმაღლესი მთავრობა ხელს არ შეუშლის.

◆ **ერთის მილიონის შეწირვა.** ძმ. ჯამგაროვებმა, რომელნიც ამჟამად მოსკოვში სცხოვრობენ, ერთი მილიონი მანეთი გადასცეს ამიერ კავკასიაში უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად.

◆ **„ნოვოროსიის რესპუბლიკა“.** გუშინ კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოში დაიწყო „გარჩევა ოზურგეთის მაზრის მცხოვრებ ლომეარიას საქმისა. სამართალში მიცემულია ეგრედ წოდებულ „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“ საქმის გამო.

◆ **ტფ. ქართულ გიმნაზიაში.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანი ს. კაკაბაძე ქართულს გიმნაზიაში ქართულის ენის მასწავლებლად დაინიშნა.

◆ **მოსავალი დასავლეთ საქართველოში.** როგორც დასავლეთ საქართველოდან გვატყობინებენ, წელს იქ დიდი მოსავალი ყოფილა ძაძა ლობიოსი (სოიასი), რომელსაც ამ ჟამად დიდი მოთხოვნილება აქვს რუსეთსა და უცხოეთში (ხდიან ზეთსა და აკეთებენ ყავას). ფუთი სოია ქვემო იმერეთსა და გურია-სამეგრელოში იყიდება 75—80 კაპ. სიმინდი კი 45—50 კაპ. ფასობს ფუთი. სოფლად გაჩნდნენ აუარებელი ჩარჩმყიდველები და ყოველ კვირაში რამოდენიმე ვაგონს სოიათი დატვირთულს ჰგზავნიან ფოთის ნავთსადგურში.

◆ **პენსიების დანიშვნა.** უწმ. სინოდის დადგენილებით წელიწადში 300 მან. პენსია დაენიშნათ მდვდლებს: გ. იმნაძეს, ი. იაშვილს, დ. შენგელიას, ვ. იმნაიშვილს, ფ. ჯინჭარაძეს (100 მან.); მედავითნეებს: ა. ცეცხლაძეს (100 მან.), ო. ნადირეიშვილს (66 მან. 66 კ.) და მღვდლის ქვრივს დესპინე სხირტლაძეს შვილებით—250 მან.

◆ **„ყვირილის რესპუბლიკა“.** ამას წინად ქუთაისში სამხედრო სასამართლომ კარპე მოდებაძის საქმე გაარჩია. სამართალში მიცემული იყო „ყვირილის რესპუბლიკის“ საქმის გამო. სასამართლოს ბრალდებულს ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა და ამასთანავე დაადგინა, ეშუამდგომლნა, რათა სასჯელი 3 წლის ციხით შესცვლოდა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ კარპე მოდებაძე 10.000 მანეთის თავდებით გაანთავისუფლეს. სასამართლოს შუამდგომლობა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

◆ **ნათლისღება.** დღეს, დილის 10 საათზე, ქალაქის სამღვდელოება სიონის საკათედრო ტაძარში მოიყრის თავს და აქედან წმინდა ნაწილებით აღექსანდრეს ბაღის პოლოს გაემართება, სადაც იორდანეა გამართული

◆ **ტფ. ტრამვაი და ქალაქის თვით-მმართველობა.** ტფ. ელექტრონის ტრამვაის დირექციასა და ქალაქის გამგეობის შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა იმის გამო, რომ გამგეობამ **ბოლო ხანს** რამდენჯერმე დააჯარიმა დირექცია. დირექციას ჯარიმების დადება უკანონოდ მიაჩნია და ამიტომ ქალაქის საბჭოს სთხოვს, ჯარიმა მოხსნას. თუ საბჭომ უარი უთხრა, მაშინ დირექცია სასამართლოს ჰმომართავს.

◆ **მინდვრის თაგვთან ბრძოლა.** ამიერ კავკასიაში მინდვრის თაგვთან საბრძოლველად წელს 2.000 მან. გადაიდო საერობო თანხიდან.

◆ **ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაში.** 3 იანვარს საქართველოს ექსარხოსის თავმჯდომარეობით კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების კრება მოჰხდა. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა, რომ 14 იანვარი, წმ. ნინოს დღე უქმე დღედ იყოს აღიარებული ამიერ-კავკასიის ყველა საერო სკოლისთვის, როგორც ქართველთა, ისე რუსთათვის.

◆ **სამეურნეო საზოგადოება-ში.** ამ საზოგადოების წევრთა საერთო კრება 19 იანვარს მოჰხდება, ხოლო საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება—12 იანვარს.

◆ **მევენახეობა და მეღვინეობა.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა, შიმდინარე წელს მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტები დააარსოს შემდეგს რაიონებში: ტფილისსა, ქუთაისსა, განჯასა, ყიზლიარსა, ნოვოროსიისკსა და სოხუმში.

◆ **კიდევ დეპუტატ ჩხეიძის საქმის გამო.** როგორც მკითხველებმა იციან, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ჩხეიძის საქმე განსახილველად გადაეცა ტფილისის გუბერნიის საარჩევნო კომისიას, მაგრამ უკანასკნელმა დაადგინა: საქმე არსებითად არ განიხილოს, რადგან მას უფლება არა აქვს ამ საქმის განხილვისა. ტფილისის გუბერნატორი სენაჯში შუამდგომლობს, კომისიის ეს დადგენილება გააუქმოს.

◆ **გლეხთა ვალდებულების საქმე.** საუწყებათა შორისო თათბირზე უკვე დასრულებულა კავკასიის ნამესტნიკის პროექტის განხილვა გლეხთა ვალდებულობის მოსპობის თაობაზე.

◆ **შავის ქვის რაიონი.** 4 იანვარს პეტერბურგიდან კავკასიაში წამოსულა სამთო კომიტეტის წევრი მიტინსკი შორაპნის შავ-ქვიან ადგილების დასათვალიერებლად და ეკონომიურ-სამრეწველო ცნობათა შესაკრებად.

◆ **ჟურნალისტის დაპატიმრება.** 4 იანვარს ტფილისში თავის ბინაზე გასჩხრიკეს ქართველი ჟურნალისტი დავით ჩადუნელი, რომელიც მაშინვე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გაგზავნეს. დაპატიმრების მიზეზი არ იციან.

◆ **გულქვა დედა.** 4 იანვარს ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებნი ძალიან აღელვება მე-№ 14 სახლში მცხოვრებ ეკატერინე ისაკის ასულ ამთოვის საქციელმა. ამ ქალმა ჯერ ძალზე გალახა თავისი 11 წლის ქალი ანნა—ჰიქის გატეხისათვის და შემდეგ გარედ გამოიყვანა და თეთრეულობის ამარა ბოძზე მიაკრა 9 გრადუსის სიცივის დროს. მეზობლები მეტის-მეტად აღელდნენ და პოლიციას შეატყობინეს ეს ამბავი, ხოლო ბავშვი გაანთავისუფლეს და სახლში შეიყვანეს. მეზობლების სიტყვით, დედა თავის ქალს წინადაც ხშირად სტანჯავდა უფრო სასტიკად. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

◆ **საბავშვო კლუბი.** როგორც ვწერდით, ტფილისში საბავშვო კლუბი არსდება. კლუბის დამაარსებელთა დამფუძნებელი კრება 4 იანვარს მოჰხდა. პირველად ნ. ი. სერებრენიკოვმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება, რომელშიაც დაწვრილებით აღნაშნა დანიშნულება საბავშვო კლუბისა და მისი დაარსების საჭიროება ტფილისში და შემდეგ არჩეულ იქმნა გამგეობა. არჩეულ იქმნენ: ნ. ი. სერებრენნიკოვი (თავმჯდომარედ), ი. პ. ნაკაშიძე (თავმჯდომარის ამხანაგად), ვ. ს. ქალანთარ-ჩიმიშკიანისა (მდივნად), გ. ზ. ქანანოვი (ხაზინადრად) და ი. ა. აკუნოვი.

◆ **როგორც ჭუთაისიდან გვატყობინებენ,** კვირას, 26 დეკემბერს, სად. აჯამეთს ჭუთაისის გუბერნატორ ა. ივ. სლავოჩინსკისა, სამაზრო ადმინისტრაციისა და საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელთა თანადასწრებით გაიხსნა ადგილობრივ მემამულე ანანოვის მემკვიდრეთა მიერ გამოყვანილი სარწყავი არხი, რომლის სათავე იწყება ად. სვირის ზემოდ, სოფ. არგვეთის მიდამოზე და გასტანს 15 ვერსზე მეტს აჯამეთის ხიდამდე. ხსენებულ არხის გამოყვანის თაობაზე, ამ ორი წლის წინად, დიდი აურ-ზაური ასტყდა ადგილობრივ მცხოვრებთა და მამულის გამგეთა შორის, რომელიც დამთავრდა იმით, რომ მიწის მეპატრონე-გლეხებს არა ხისთვის ჰაჭირო მიწები ჩამოერთმევათ და სარწყავ არხშიაც მონაწილეობა მიესპობათ. არხის გამოყვანა, მემამულეს სიტყვით, დაჯდა 90,000 მანეთი. როგორც ამბობენ იმნაირად არის გამოყვანილი, რომ გლეხებს თავიანთი მიწის მორწყვა არ ეხერხდებათ, ანანოვის მიწები კი ყოველ წლივ რამოდენიმე ათასი ქცევა მოირწყვება. მემამულეს გადეწყვეტია ამ წლიდან მიწის იჯარა ქცევა 12 მანეთამდე ასწიოს, რომ სარწყავ არხში გაღებული თანხა სავსებით აინაზღაუროს. არხის გახსნის შემდეგ დამსწრე პირთ გაუმართეს საუზმე, რომელზედაც წარმოითქვა სიტყვები, თუ რა სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ მცხოვრებთ მემამულის მიერ გამოყვანილი არხი!!

◆ **ჯარიმები.** ტფ. გუბერნატორმა დააჯარიმა: 1) კნ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა 10 მან. საადრესო სტოლის წესთა დარღვევისათვის; თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 3 დღით დააპატიმრებენ, 2) გიორგი ბეჟიშვილი 50 მან. ხორცის ძვირად გაყიდვისათვის, თუ ჯარიმას არ გადაიხდის, 1 თვით დააპატიმრებენ; 3) იოსებ მუსურაძე 50 მან. უქმე დღით ვაჭრობისათვის, თუ ჯარიმას არ გადაიხდის 1 თვით დააპატიმრებენ.

◆ **ტრამვაი ბაქოში.** ბაქოს ქალაქის თვით-მმართველობას გადაუწყვეტია, ბაქოში თავის ხარჯით მოაწყოს ელექტრონის ტრამვაი. წინასწარ გამოანგარიშებით ამ საქმეს 6 მილიონი მანეთი დასჭირდება. ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ **თავის მოკვლა.** 4 იანვარს მუშტაიდში თავი მოიწამლა 20 წლის ყმაწვილმა კაცმა პავლე კარლოს ძე. კოვალსკიმ. ვვამი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ **„606“.** ამ დღეებში ექიმი მუხარინსკი ნაძალადევის სკოლის სარგებლოდ სახალხო სახლში ლექციას წაიკითხავს ერლიხის „606“-ზე.

◆ **სახალხო სახლში.** დღეს სახალხო სახლში ა. ჩირგაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „უდანაშაულოდ დასჯილი“.

◆ **სათავად-აზნაურო ბალი.** დღეს, 6 იანვარს ზამთრის საკრებულოში, ჩვეულებრივი თავად-აზნაურების ბალი მოჰხდება.

◆ **ლექცია.** კვირას, 9 იანვარს, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სახალხო სახლში ლექციას ჰგამართავს. წაიკითხავს ბ-ნი აღ. ჯანთრიული „ქორწინებასა და ჯანმრთელობაზე“ დასაწყისი დილის 12 საათზე.

◆ **ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო დ. და გ. ნანიაშვილებს,** რომ გორის მაზრაში მდებარე შახ-მამედზე დარჩენილი გადასახადი 460 მან. 87. ნაწილ-ნაწილად დაეკმაყოფილებინათ ორმა წლის განმავლობაში.

◆ **9 იანვარს** კავკასიის საფეხბურთო ქსერო კომიტეტის კრება მოჰხდება.

◆ **ზუგდიდის ტფილისელს** ხელის მომწერებს გაზეთის ნომერთან ერთად გეზავნება ნიკო გვარამაძის სპილენძით წარმოდგენის შრომა.

◆ **რედაქციამ მიიღო წესდება** „ოფიცრების კეთილ-მოუკრე საზოგადოებისა“.

◆ **4 იანვარს** ტფილისში უცნობად გარდაცვლილნენ: ოდგა რაფიელი და სოფიო ბარსუკოვი.

◆ **4 იანვარს** პოლიციამ ტფილისში შეიპყრო **25** უპასპორტო.

## ერთვნულ საკითხის გამო

ეროვნული საკითხი კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში სერიოზული პოლიტიკური პრობლემაა. ამ საკითხს იდეიური და თეორიული მხარეც აქვს, პრაქტიკულიც. თუ ეროვნულ საკითხის ღრმა მნიშვნელობა მეცნიერულად არ იქმნა გამორკვეული, შეუძლებელია შეგნება და გაგება კავკასიის ხალხთა წარსულ ცხოვრებისა, ისტორიის, ლიტერატურის და საერთოდ კულტურისა. ნაციონალურ საკითხის გარეშე ძნელი გასაგებია აგრედვე კავკასიელ ხალხთა ეხლანდელი მდგომარეობა, მათი ურთიერთობა და მიმოხლა, ხოლო სრულიად გაუგებარია მაუი იდეალები და საზოგადოებრივ პოლიტიკური მისწრაფებანი. თავის თავად ცხადია, რომ წარსულის შეუგნებლად და აწმყოს გაუთვალისწინებლად შეუძლებელია კავკასიის ხალხთა სოლიდარობისა და ერთსულოვნებისთვის საფუძვლის ძებნა და მათის ურთერთობისათვის დამყარება სამართლიან პოლიტიკის პრინციპებისა.

ყველა ეს ეროვნულ საკითხის მხოლოდ ერთს მხარეს წარმოადგენს. იმისი მეორე, არა ნაკლებ სერიოზული მხარე კი შემდეგია. კავკასიის ერები ისტორიულად და კულტურულად თვითარს ეროვნებაზე წარმოადგენენ და ამავე დროს დიდ სახელმწიფოს ნაწილს შეადგენენ, რომლის გამგეც წრეებიც, როგორც ძირითად სახელმწიფოებრივ ერის წარმომადგენელნი, არა სცნობენ და კიდევ კარგა ხანს არად მიიჩნევენ პატარა ერთა უფლებას დამოუკიდებელ კულტურულ არსებობისა და განვითარებას. ასევე უყურებენ ბევრს, ეგრედ წოდებულ, განათლებულ სახელმწიფოში დიდრონ ერების წარმომადგენელნი პატარა ერებს. აქედან წარმოსდგება ამ სახელმწიფოებში პატარა ერების გაუპიროვნებისა და ასიმილაციის პოლიტიკა. ამ პოლიტიკის პრაქტიკული მიმდევრები ჩვეულებრივ იმ მოსაზრებას ემყარებიან, რომ ტეხნიკა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობისა უფრო მარტივი და მსუბუქი იქნება, როცა სახელმწიფოს ერთი ტომი ან ერთგვარი, ერთფეროვანი ქვეშევრდომნი შეადგენენო. თეორეტიკოსები კი ამ პოლიტიკას იმ შეხედულებით ამართლებენ, რომ „სახელმწიფოებრივ სხეულის მოსაწესრიგებლად საჭიროა ერთი უმაღლესი თვითშეგნება და ნებისყოფა“, რომელიც ნაციონალურ ერთი ფეროვნების ნიადაგზე უფრო ადვილად ჩნდებაო.

მაგრამ თეორია და პრაქტიკა თანამედროვე სახელმწიფოების, შესაძლოა ჰხდის, სხვა გვარადაც იქმნას განსაზღვრული მდგომარეობა და როლი პატარა ერებისა დიდ სახელმწიფოებში. ჩვენთვის, კავკასიელებისთვის, ეროვნულ საკითხის გაჭორკვევას ამ მეორე თვალსაზრისით პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. რუსულ ლიტერატურაში ამ მიმართულების გამოკვლევანი ეროვნულ საკითხისა, ვლად. სოლოვიოვის ნაწერების გამოკლებით, მთლად ებრაელ და მალიაროს მწერლებს ეკუთვნით. ჩვენ კი, კავკასიელებს, არა თუ არავითარი ღვაწლი არ შეგვიტანია ეროვნულ საკითხის ლიტერატურაში, არამედ

ჯერ აქამომდე წესიერად იგი არც კი დაგვიყენებია *). თუმცა ზემოდ გამოთქმული ზოგადი მოსაზრება ეროვნულ საკითხის მნიშვნელობის თაობაზე თავის თავად ცხადი და უტყუარი ჭეშმარიტება უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც კი საზოგადოებრივ ცოდნათა მეცნიერების საანბანო საფუძვლები აქვს შეთვისებული. მაინც ამ საკითხს არა თუ შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ, თვით საკითხის დაყენებას სხვა-და-სხვა მხრიდგან და სხვა-და-სხვა მოსაზრებით სისტემატიურად აბრკოლებენ.

აქ ყოველის უწინარეს უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიუროკრატია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სრულიად განსაზღვრულ გამგებლობის სისტემას ანხორციელებდა და ცნობილს პოლიტიკას მისდევდა, არა თუ ანგარიშს არ უწევდა თითოეულ კავკასიელ ერის კულტურას და თავისებურობას, არამედ განზრახ ურევდა მათ ერთმანეთში ტერიტორიალურად, რათა შეექმნა ადგილობრივ მცხოვრებლების საერთო ტიპი, რომელსაც იგი წინასწარ „კავკასიელის“ სახელწოდებით აღნიშნავდა. რა თქმა უნდა, ამ გვარი პოლიტიკა, აბნელებდა კავკასიელ ერთა ეროვნულ თვით შეგნებას, ართულებდა და აძნელებდა ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ პრობლემის გადაწყვეტას მომავლისთვის.

მეორე დამაბრკოლებელ მიზეზს ეროვნულ საკითხის წესიერად დაყენებისთვის წარმოადგენდნენ იმ ცნობილ დოქტრინის მიმდევარნი, რომელიც თითქოს პრინციპიალურად უარჰყოფდა თვით ეროვნულ საკითხის არსებობას. ამ დოქტრინას ჩვენს ქვეყანაშიც გზად იმ გვარივე რეალური მოვლენები გადაელობნენ, რომელთა გავლენითაც უფრო უწინ იგი არსებითად შეიცვალა ავსტრიაში. ამ სახელმწიფოში პოლონელების, ჩეხების, რუსინების და სხვა პატარა ერების წარმომადგენელთა სამართლიანმა მოთხოვნამ იძულებულ ჰყო დოქტრინის მიმდევარნი, ანგარიში გაეწიათ ცხოვრების რეალურ საჭიროებათათვის და თავისი სახელმძღვანელო იდეები შესაფერად შეეცვალათ. ამ ცნობილ მიმართულების მიმდევრებმა ეროვნულ საკითხისადმი გულ-ცივობას თავი დაანებეს და თავისი მოძღვრება შესაფერად განავითარეს. ჩვენში ამ მიმართულების მიმდევრებს ჯერ ბოლომდე არ გაუვლიათ ამ შინაგან ევოლუციის გზა. თავის თავად ცხადია, რომ ეს მიმართულება ჩვენის ქვეყნის ეროვნულ საკითხის გამორკვევისთვის დაბრკოლებას წარმოადგენდა.

ეროვნულ საკითხში ამ მიმართულებასთან ყოველთვის თავისებური მახლობლობა ჰქონდა სომხის პუბლიცისტების ერთს ნაწილს. ეს პუბლიცისტები მუდამ მზნედ და ენერგიულად მეცადინეობდნენ ეროვნულ საკითხის დასაჩრდილავად. სომხების და ქართველების დამოკიდებულება ჩვეულებრივ რაოდენიმე მწვავედებოდა ტფილისის საქალაქო თვითმართველობის საქმეების ნიადაგზე. ამ თვითმმართველობაში გაბატონებული სომხები თავის ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებდნენ და აწარმოებენ დღემდე. ამ პოლიტიკის თვალნათლივი გამოხატულებაა მაგ. ის გარემოება, რომ თითქმის არც ერთ თვალსაჩინო ადგილზე ქალაქის სამსახურში სომხების გარდა ვერავის ჰნახავთ. ორიოდე არა სომეხი მოსამსახურე მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენს. ქართული პრესა პირდაპირ და აშკარად ამბობდა, ეს პოლიტიკა არც სამართლიანია, არც შორსმჭვრეტელი და არც მიზანშეწონილი. ზემოხსენებული პუბლიცისტები კი შოვინიზმსა და ვიწრო ნაციონალისტობას ისევ ქართველებს სწამებდნენ. რა თქმა უნდა, ნაციონალურ საკითხის ამ გვარი ნაძალადევი შეჩერება და უარყოფა ვერავითარ სიკეთეს ვერ მოიტანს. საჭიროა, არა იმ ნაციონალურ შოვინიზმის ბრალდება, რაც ამ პუბლიცისტების საკუთარ თვისებას შეადგენს, არამედ ჯერ გულახდილი აღიარება იმ ფაქტისა, რომ ფტილისის საქალაქო საქმეთა ნიადაგზე ეროვნული ურთიერთობა მწვავდება, და შემდეგ მეცადინეობა ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

საერთოდ შეიძლება ვთქვათ, რომ აქამომდე ჩვენ ქვეყანაში ნაციონალურ საკითხის წესიერ დაყენებას არ უწყობდნენ გარემოებანი ხელს, თუმცა კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ამ საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. თვით-განვითარება კავკასიის ხალხთა ნაციონალურ ინტერესთა კულტურულ ფარგლებში ჰხდება. ხოლო სადაც სხვა და სხვა ერის წარმომადგენელნი არიან ერთმანეთში არეული, იქ მათ შორის ასე თუ ისე, გამწვავებული ურთიერთობაა, რომელიც ზოგჯერ განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს. კავკასიის ცხოვრების საერთო საკითხებში კი თანხმობა კავკასიელ ერთა წარმომადგენელების შორის თითქმის სრულებით არ არსებობს. სომხების და ქართველების წარმომადგენლებსა არსებითად განსხვავებული პროექტი წამოაყენეს, მაგალითად, საერობო დაწესებულებათა შესახებ. მოსალოდნელია, რომ ამ გვარი ნაციონალური სხვა და სხვაობა მით უფრო გახშირდება, რაც უფრო განვითარდება კავკასია და რაც უფრო დაუახლოვდებით რეფორმების განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული საკითხი კავკასიის ცხოვრების ძირითადი საკითხია. გონივრული მეცადინეობა იმისი გადასაწყვეტად დიდი იდეური და საზოგადოებრივი საქმეა. ეჭვს გარეშეა, იმ მძიმე საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ადვილი არ არის, მაგრამ სწორედ ამიტომ შეადგენს ყოველ თაობის მოვალეობას თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში,

ყოველის უწინარეს საჭიროა, კავკასიის ყველა ერმა და ყველა მიმართულებამ თვით ნაციონალურ საკითხის არსებობა და იმისი ღრმა მნიშვნელობა დაინახოს; შემდეგ საჭიროა ამ საკითხის დაყენება ისეთს ნიადაგზე, რომელიც ანგარიშს უწევს ჩვენის ცხოვრების სხვა და სხვა ფაქტორს და, სხვათა შორის, იმ შეხედულებას, რომელიც არა მარტო მმართველ წრეებს, არამედ რუსეთის საზოგადოების ფართო წრეებსაც ახასიათებს,—ვითომც შინაურ პოლიტიკის მიზანს უნდა შეადგენდეს არა-რუსთა გარუსება, ვითომც სახელმწიფოებრივი სიკეთე უპირატესად ჭელიკორუსებს უზრუნველ უნდა ეყოს და არა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომს თანასწორად. ეს შეხედულება, როგორც სხვა ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რუსეთში დიდ ხანს იქნება გაბატონებული. მოვიგონოთ, რომ ამ აზრის მქადაგებელია რუსეთის ლიბერალური ინტელიგენციის ერთი შტო ეკს სოციალისტ პეტრე სტრუვეს მესვეურობით. ეს მიმართულება თითონვე გვამცნებს, რა გზას უნდა დაადგეს ნაციონალურ საკითხის კვლევა-ძიება ჩვენში. ხას-გასმით უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი ზრდა და გარეშე ძალიერება 150 მილიონიან სახელმწიფოსი მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი თუ დაკმაყოფილებულ იქმნება ამ სახელმწიფოს შემადგენელ ყველა ერთა სამართლიან მოთხოვნისა და მისწრაფებისა, განაწილებულ იქმნას თანაბრად ყველა ერთა შორის სახელმწიფოებრივი კეთილდღეობა და დასახულ იქმნას მიზნად მთლიანობა არა ერთფეროვნებისა, არამედ მრავალ ფეროვნებისა. რა თქმა უნდა, ამ პირობების მიხედვით უნდა გამოირკვეს ჩვენის ქვეყნისათვის შესაფერი ფორმები ადმინისტრატიულ მნართველობისა, რათა ამ ფორმებში ერთის მხრივ თითოეული ერი თავისუფლად განვითარდეს და მეორეს მხრივ მრავალ-ტომიან სახელმწიფოს მთლიანობა იქმნეს დაყოფილი. უნდა გამოირკვეს ამასთანავე, რომ მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი შეერთდეს პსიხოლოგიურად თითოეულ ერის ნაციონალური თვით შეგნება საიმპერიო ინტერესებისადმი გულწრფელი ერთგულება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი მოვალეობაა, მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფოებრივ მეცნიერების იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც პატარა ერების სვე ბედს შეეხება. ნაციონალურ საკითხის გამორკვევა ამ მიმართულებაზე კავკასიელების საერთო საქმეა და ამ მხრივ ჩვენ შორის არავითარ უთანხმოებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

თვით კავკასიის ერთა ურთიერთობის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად საჭიროა გამოკვლევა თითოეულ ერის ისტორიულ წარსულისა და თანამედროვე მისწრაფებათა. ეხლანდელ პირობებში ისტორიულ გამოკვლევებს წინ არაფერი უდგა. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ყოველთვის შესაძლებელი და მოსახერხებელი არ არის თითოეულ კავკასიელ ერის ნაციონალურ მისწრაფებათა გამომჟღავნება და გამოფენა. ეს გარემოება ეხლანდელ პირობებში თითქმის დაუძლეველი დაბრკოლებაა, რომელიც ხშირად თვალსაჩინოდ და მრავალ გვარად აფერხებს საქმეს.

ამის და მიუხედავად არსებობს ერთი, პრაკტიკულის ინტერესით აღსავსე, კერძო ეროვნული საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ ოხოუღობს პასუხს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქალაქო თვითმმართველობა, რომელიც ეროვნულ საკითხის კვანძს ემსგავსება. ნაციონალური მიხლა-მოხლა ტფილისის თვითმმართველობაში ქართველებსა. სომხებსა და რუსებ შორისა ჰხდება. ბათუმში—ქართველებს და სომხებს შუა. მიხლა-მოხლა ბაქოსა და განჯაში სომხებსა და მაჰმადიანთა შორის ხდებოდა. ყველგან ეროვნული ურთიერთობა იმ მიზეზით მწვავდებოდა, რომ ეხლანდელი დებულება საქალაქო თვითმმართველობისა ქალაქის მცხოვრებთა, სხვებთან შედარებით, ერთ ნაწილს მეტად ცხადს უპირატესობას ანიჭებს. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს, შესძლოა და სასურველი თუ არა ამ გვარ შემთხვევებში რაიმე კორრექტივების შეტანა გამწვავებულ ურთიერთობის დასაწყნარებლად და უკმაყოფილებათა მოსასპობად. თუ ეს შეუძლებელი ან არა სასურველი აღმოჩნდა, ცხადია, გაბატონებული ერი უველგან თავის ვიწრო ეროვნულ პოლიტიკას გაჰყვება და საფიქრებელი შეიქნება, რაზე-და უნდა დაემყაროს კავკასიელ ერთა თანხმობა. სადაც თანხმობის პრინციპი ჰმოქმედობს, იქ შეუწუნარებელია, თითოეული ერი ყოველ კერძო შემთხვევით თავის საკუთარ ეროვნულ პოლიტიკისთვის სარგებლობდეს. ამ შემთხვევაში თავის თავად იბადება საკითხი: ფუძე ი ცნება ხომ არ არის თანხმობისადმი მისწრაფება?

**Kumagava.**

*) რედაქციის აზრით პატივცემული ავტორი სრულ სიმართლეს არ ამბობს. ერთვნული საკითხი ქართულ მწერლობაში 1905 წლიდან საკმაოდ ნათლად და გარკვეულად არის დაყენებული და უკვე რამდენიმე ყურადღების ღირსი კამოკვლევაც მოიპოვება. მოვიგონებთ პატივცემულ ავტორს, მაგ., შარშან გამოცემულ Báton-ის წიგნს: „ერი და კაცობრიობა“. რედ.

## გიორგი ჭალადიდელი

(ქოჩაძიძე)

(მის ლექსთა კრებულის გამო).

ამ ოცდათორმეტის წლის წინად გამოცემულ „ბუნების კარში“ ჩვენს სახელოვანს პედაგოგს პირველ განყოფილებაში პრიზა ჰქონდა მოთავსებული, ხოლო მეორეში—ლექსები. ამ უკანასკნელთა შორის პირველი ადგილი დათმობილი ჰქონდა გ. ჭალადიდელის (ქოჩაძიძის) ლექს „მოგონებას“ ანუ „მახსოვს პირველად“-ს (ეს ლექსი დღემდე უფრო ამ სათაურითაა ცნობილი). მხოლოდ სკოლაში მიბარებულ და მშობლებს მოშორებულ ბავშვების სულის კვეთებას დაკვირვებულ და მისს ზედმიწევნით მცოდნე პედაგოგს შეეძლო შეერჩია ეს ლექსი საყმაწვილო წიგნისათვის. ის ნაზი გრძნობა, ის ნაზი სურათი სკოლაში წასვლის დროს მზადებისა, ნაჩვევ კარ-მიდამოსი და ტოლ-ამხანაგების მოშორებისა, რასაც ამ ლექსის სწავლის დროს განვიცდიდი, დღესაც ცხოველად, უვლებლად თვალწინ მიდგება ხოლმე.., ან კიდევ „მთის წყაროს“, „დედა-ენაში“ დაბეჭდილი, სახორო სასიმღეროდ გვჭონდა გადაქცეული!.. სამშობლო ლექსების სიყვარული სწორედ მაშინ ამ ლექსებთან ერთად ჩაუქსოვა ჩვენს ბავშვებს გულში. ახლა იკითხეთ მთელს საქართველოში ცნობილი და პოპულიარული სუფრული სიმღერა „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, პოპულიარულივე რომანსი „მაღლა ცაზე მშვიდ არიან“! რამდენი სიამე გვიგვრძვნია, მკითხველო, ამ ლექსების სმენის დროს, რამდენად ხელ. შეუწყვია ამ ლექსებს ჩვენი გული აძგერებულიყო ჩვენის ქვეყნის სიყვარულითა!..

ამ ოთხმა-ხუთმა ლექსმა ჩვენს პოეტს ერთბაშად გაუთქვა სახელი ჩვენს ხალხში. მოსალოდნელი იყო, გარემოებას რომ ხელი შეეწყო, არა-ერთი და ორი მარგალიტი შეეძღვნა ჩვენის მწერლობისათვის. გარნა სულ სხვანაირად დატრიალდა ცხოვრება გ. ჭალადიდელისა, მეტად ადრე გათავდა. სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა და თავისი ზეგარდმო მომადლებული ნიჭი სავსებით ვერ ამსახურა თავისს მშობელს ხალხს. მშობელ მხარეს, რომელთაც ასე დასტრფოდა, ასე ნაზად დაჰკანკალებდა...

მთელს სამეგრელოში ცნობილი და გავლენით მოსილი მღვანებელი ბულია, მით უფრო, რომ ფრიად საეჭვო გახდა ის ტრადიციული შეხედულება ქალზედ, ვითომ იგი დედობრივი ინსტინკტის განსხეულებაა, ვითომ სექსუალურ გრძნობებს მის ბუნებაში მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავთ და ვითომ ქალი დღე და ღამ მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობს, რომ როგორმე შვას და აღზარდოს ბავშვი, ბინძურ ძონძების რეცხვაში გაისიოს და გაიწითლოს თითები და ულეველ საკერავის საქმიანობაში დაიცვოს თვალები.

დიაღ, დღეს ქალის „სიკეთის და ღვთისნიერების“ შესახებ ძველ ბაიათებს გასავალი აღარ აქვს. მართალია მამაკაცი გარყვნილების აუზად ითვლებოდა და დღესაც ითვლება. დონჟუანები, ლოველასები და თანამედროვე სანინები და მიხაილოვები (არციბაშევის რომანში) კაცის გაუმაძღარ სექსუალიზმის მატარებელი ტიპები იყვნენ და არიან. სიამდვილე „ცოდვისა“ კაცისათვის ანვითარებდა კაცში ლოველასებურ გრძნობებს და განზრახვებს. მეორეს მხრივ სიძნელე ამავ საქმეში დედათა სქესისათვის ქალს საზღვრებში იპყრდა და აქედამ საუკუნოებით შემუშავდა სქესობრივი აღვირაშვებულობა ერთისა და თავშეკავება და რიდი მეორისა. მაგრამ, დახე შუხთლობას, დღეს აღმოჩნდა სხვა რამეც, ის, რის დანახვა ზოგიერთებს არ უნდათ, აღმოჩნდა, რომ ქალსაც შეუძლია ლოველასობაც დონჟუანობაც და ხანინობაც აღმოჩნდა, რომ რაკი დედობა ეუსწორდება ქალს, ძმურის სიყვარულით გიყვართ, გინდათ დაეხმაროთ, უშველოთ, მაგრამ ამაოა ყოველი თქვენი შველა და ყოველი თქვენი თანაგრძნობა. ქალის გული უკვე მოშხამულია. რაც გინდ გულწრფელი და ღრმა არის მისი სულიერი უკმაყოფილება და მისი ძებნა ახალის სიცოცხლისა, მისი „ხორცი“ უკვე აღზნებულია, აჯანყებული, მისი სექსუალობა აღშფოთებული, მისი ნერვიული სისტემა აშლილი, რადგან „ბუნების“ კანონის გადალახვა ადვილი არ არის. ამ გადალახვის შედეგებს ადრე თუ გვიან ადამიანმა ანგარიში უნდა გაუწიოს და ქალიც უწევს უკვე ანგარიშს და იგი გამოისახება იმაში, რომ მიუხედავად წარმართულ დროშის აფრიალების და „ხორცის“ განთავისუფლებისა, მისი სული წყვდიადით არის მოცული და მას სიმშვიდე და მოსვენება აღარ ეკარება.

ტერეზიტას, მის ხასიათს და მოქმედებას რომ აკვირდებით, არ შეგიძლიანთ არ აღმოაჩინოთ, რომ აქ უკვე დედობის და სიყვარულის პრობლემაში ჩაქსოვილია ძლიერად განვითარებული სექსუალობა და დედობის წინააღმდეგ გალაშქრებულია არა მარტო ტერეზიტას გულის სიღრმეში ჩამარხული მარადიულ სიყვარულის წყურვილი, არამედ სექსუალობაც, რომელსაც ამოდ სწადია სიყვარულის მაგიერობა გასწიოს და ქალის გული დაიკმაყოფილოს.

როდესაც დედობის მოვალეობაზე ხელს იღებენ ღმერთის ან სხვა რაფებათა გამომჟღავნება და გამოფენა. ეს გარემოება ეხლანდელ პირობებში თითქმის დაუძლეველი დაბრკოლებაა, რომელიც ხშირად თვალსაჩინოდ და მრავალ გვარად აფერხებს საქმეს.

ამის და მიუხედავად არსებობს ერთი, პრაკტიკულის ინტერესით აღსავსე, კერძო ეროვნული საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ ოხოუღობს პასუხს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქალაქო თვითმმართველობა, რომელიც ეროვნულ საკითხის კვანძს ემსგავსება. ნაციონალური მიხლა-მოხლა ტფილისის თვითმმართველობაში ქართველებსა. სომხებსა და რუსებ შორისა ჰხდება. ბათუმში—ქართველებს და სომხებს შუა. მიხლა-მოხლა ბაქოსა და განჯაში სომხებსა და მაჰმადიანთა შორის ხდებოდა. ყველგან ეროვნული ურთიერთობა იმ მიზეზით მწვავდებოდა, რომ ეხლანდელი დებულება საქალაქო თვითმმართველობისა ქალაქის მცხოვრებთა, სხვებთან შედარებით, ერთ ნაწილს მეტად ცხადს უპირატესობას ანიჭებს. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს, შესძლოა და სასურველი თუ არა ამ გვარ შემთხვევებში რაიმე კორრექტივების შეტანა გამწვავებულ ურთიერთობის დასაწყნარებლად და უკმაყოფილებათა მოსასპობად. თუ ეს შეუძლებელი ან არა სასურველი აღმოჩნდა, ცხადია, გაბატონებული ერი უველგან თავის ვიწრო ეროვნულ პოლიტიკას გაჰყვება და საფიქრებელი შეიქნება, რაზე-და უნდა დაემყაროს კავკასიელ ერთა თანხმობა. სადაც თანხმობის პრინციპი ჰმოქმედობს, იქ შეუწუნარებელია, თითოეული ერი ყოველ კერძო შემთხვევით თავის საკუთარ ეროვნულ პოლიტიკისთვის სარგებლობდეს. ამ შემთხვევაში თავის თავად იბადება საკითხი: ფუძე ი ცნება ხომ არ არის თანხმობისადმი მისწრაფება?

**Kumagava.**

# ქალთა საკითხი

(ეტიუდი ქალის შესახებ).

III

როგორც ვსთქვი, კნუტ გამსუნის ტერეზიტა „ცხოვრების დრამიდან“, განვითარებაა ედვარდში ჩასახულ ფსიხიურ ორგანიზმისა. ტერეზიტა უკვე ენებით და ავხორც გრძნობებით აღსავსე ახალგაზდა ქალია. ვინც კი თვალში მოუვა, ეკავშირება ფიზიკურად. ტერეზიტა სექსუალობით ძლეული ქალია, ხოლო მისი სექსუალობა არ არის სასიხარულო. მის სულის სიღრმეში დაბუდებულია დიდი სევდა და ეს სევდა აძლევს მის ხასიათს და მის სიცოცხლეს ტრაგიკულ ელფერს.

ტერეზიტა მდიდარ მემამულის ქალიშვილია. დრამის პირველსავე მოქმედებიდან ვტყობილობთ, რომ ტერეზიტას კავშირი აქვს თავის მამის მოჯამაგირე—მუშასთან „გეიერთან. ეს კავშირი ქალს უკვე მოწყენილი აქვს. იგი ეუბნება გეიერს: „აღარ მინდა. გესმის (ფეხით ბრაგუნებს), აღარ მოხვიდე“. გეიერის შემდეგ უყრადღებას აქცევს ტელეგრაფის მოხელეს იენს სპირს. სურვილებ აშლილი კაცი მოსვენებას არ აძლევს და ტერეზიტა, მობეზრებული კაცის მუდარით, ეუბნება მოარშიყეს: „ჰო, ჰო, იენს სპირ, ძალიან შესაძლებელია, რომ დამტანჯოთ და ბოლოს დაგნებდეთ. მაგრამ, რომ იცოდეთ, რანაირად მეზიზღებით“. როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც საქმე თავდება იმით, რომ ტერეზიტა დაუახლოვდება ამ ადამიანსაც, რომელიც ეზიზღებოდა. მაგრამ ეს ტერეზიტასათვის ისევე ადვილი იყო, როგორც კავშირის გაწყვეტა და სწყვეტს კიდევაც. იენს სპირი ეუბნება:

...როდესაც მიახლოვდებით, როგორც წითელი ვარდი ისე ინთება ჩემში ცოდვა. მე მინდა გფლობდეთ, მუდამ მინდა გფლობდეთ“. ტერეზიტა—„მე კი აღარ მინდა“. სპირი—„არა, გინდათ, მუდამ შეგვედრებით ამას“. ტერეზიტა (ფეხის ბრაგუნით) აღარ მინდა-მეთქი“. და ითავებს რა საქმეს ამ პროვინციალურ დონჟუანთან, გადაეკიდება თავის პატარა ძმების მასწავლებელს, სწავლულს და ცოტა არ იყოს გაბოყრუებულ კარჭნოს. კარენო, წიგნებში და ფოლიანტებში ჩაფლული, თითქოს არა ჰგავს ამ ქვეყნის ღამიანებს და იპყრობს ახალგაზდა ქალის ყურადღებას. მაგრამ აქაც სასოწარკვეთილებით ბოლოვდება მათი ურთიერთობა. და ტერეზიტა ნაზ თვალებით ლმობიერად დაჰყურებს ინჟენერ ბრეგეს, კუზიან და ავადმყოფ კაცს. კარენოს, რომელსაც თავბრუ დაასხა ქალმა და შეაყვარა თავი, ეუბნება წარ შეუხვრელად: „თქვენ იმისთანა არა ხართ, როგორიც მეჩვენებოდით. წინადაც გითხარით. თქვენ ისეთივე კაცი ხართ, როგორც ყველა დანარჩენი, საძაგელ და სულელურ ბიწიერებით გამსჭვალული. თქვენ მოგიკლავთ ცხოვრებაში, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ამ საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. თვით-განვითარება კავკასიის ხალხთა ნაციონალურ ინტერესთა კულტურულ ფარგლებში ჰხდება. ხოლო სადაც სხვა და სხვა ერის წარმომადგენელნი არიან ერთმანეთში არეული, იქ მათ შორის ასე თუ ისე, გამწვავებული ურთიერთობაა, რომელიც ზოგჯერ განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს. კავკასიის ცხოვრების საერთო საკითხებში კი თანხმობა კავკასიელ ერთა წარმომადგენელების შორის თითქმის სრულებით არ არსებობს. სომხების და ქართველების წარმომადგენლებსა არსებითად განსხვავებული პროექტი წამოაყენეს, მაგალითად, საერობო დაწესებულებათა შესახებ. მოსალოდნელია, რომ ამ გვარი ნაციონალური სხვა და სხვაობა მით უფრო გახშირდება, რაც უფრო განვითარდება კავკასია და რაც უფრო დაუახლოვდებით რეფორმების განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული საკითხი კავკასიის ცხოვრების ძირითადი საკითხია. გონივრული მეცადინეობა იმისი გადასაწყვეტად დიდი იდეური და საზოგადოებრივი საქმეა. ეჭვს გარეშეა, იმ მძიმე საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ადვილი არ არის, მაგრამ სწორედ ამიტომ შეადგენს ყოველ თაობის მოვალეობას თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში,

ყოველის უწინარეს საჭიროა, კავკასიის ყველა ერმა და ყველა მიმართულებამ თვით ნაციონალურ საკითხის არსებობა და იმისი ღრმა მნიშვნელობა დაინახოს; შემდეგ საჭიროა ამ საკითხის დაყენება ისეთს ნიადაგზე, რომელიც ანგარიშს უწევს ჩვენის ცხოვრების სხვა და სხვა ფაქტორს და, სხვათა შორის, იმ შეხედულებას, რომელიც არა მარტო მმართველ წრეებს, არამედ რუსეთის საზოგადოების ფართო წრეებსაც ახასიათებს,—ვითომც შინაურ პოლიტიკის მიზანს უნდა შეადგენდეს არა-რუსთა გარუსება, ვითომც სახელმწიფოებრივი სიკეთე უპირატესად ჭელიკორუსებს უზრუნველ უნდა ეყოს და არა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომს თანასწორად. ეს შეხედულება, როგორც სხვა ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რუსეთში დიდ ხანს იქნება გაბატონებული. მოვიგონოთ, რომ ამ აზრის მქადაგებელია რუსეთის ლიბერალური ინტელიგენციის ერთი შტო ეკს სოციალისტ პეტრე სტრუვეს მესვეურობით. ეს მიმართულება თითონვე გვამცნებს, რა გზას უნდა დაადგეს ნაციონალურ საკითხის კვლევა-ძიება ჩვენში. ხას-გასმით უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი ზრდა და გარეშე ძალიერება 150 მილიონიან სახელმწიფოსი მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი თუ დაკმაყოფილებულ იქმნება ამ სახელმწიფოს შემადგენელ ყველა ერთა სამართლიან მოთხოვნისა და მისწრაფებისა, განაწილებულ იქმნას თანაბრად ყველა ერთა შორის სახელმწიფოებრივი კეთილდღეობა და დასახულ იქმნას მიზნად მთლიანობა არა ერთფეროვნებისა, არამედ მრავალ ფეროვნებისა. რა თქმა უნდა, ამ პირობების მიხედვით უნდა გამოირკვეს ჩვენის ქვეყნისათვის შესაფერი ფორმები ადმინისტრატიულ მნართველობისა, რათა ამ ფორმებში ერთის მხრივ თითოეული ერი თავისუფლად განვითარდეს და მეორეს მხრივ მრავალ-ტომიან სახელმწიფოს მთლიანობა იქმნეს დაყოფილი. უნდა გამოირკვეს ამასთანავე, რომ მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი შეერთდეს პსიხოლოგიურად თითოეულ ერის ნაციონალური თვით შეგნება საიმპერიო ინტერესებისადმი გულწრფელი ერთგულება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი მოვალეობაა, მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფოებრივ მეცნიერების იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც პატარა ერების სვე ბედს შეეხება. ნაციონალურ საკითხის გამორკვევა ამ მიმართულებაზე კავკასიელების საერთო საქმეა და ამ მხრივ ჩვენ შორის არავითარ უთანხმოებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

თვით კავკასიის ერთა ურთიერთობის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად საჭიროა გამოკვლევა თითოეულ ერის ისტორიულ წარსულისა და თანამედროვე მისწრაფებათა. ეხლანდელ პირობებში ისტორიულ გამოკვლევებს წინ არაფერი უდგა. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ყოველთვის შესაძლებელი და მოსახერხებელი არ არის თითოეულ კავკასიელ ერის ნაციონალურ მისწრაფებათა გამომჟღავნება და გამოფენა. ეს გარემოება ეხლანდელ პირობებში თითქმის დაუძლეველი დაბრკოლებაა, რომელიც ხშირად თვალსაჩინოდ და მრავალ გვარად აფერხებს საქმეს.

ამის და მიუხედავად არსებობს ერთი, პრაკტიკულის ინტერესით აღსავსე, კერძო ეროვნული საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ ოხოუღობს პასუხს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქალაქო თვითმმართველობა, რომელიც ეროვნულ საკითხის კვანძს ემსგავსება. ნაციონალური მიხლა-მოხლა ტფილისის თვითმმართველობაში ქართველებსა. სომხებსა და რუსებ შორისა ჰხდება. ბათუმში—ქართველებს და სომხებს შუა. მიხლა-მოხლა ბაქოსა და განჯაში სომხებსა და მაჰმადიანთა შორის ხდებოდა. ყველგან ეროვნული ურთიერთობა იმ მიზეზით მწვავდებოდა, რომ ეხლანდელი დებულება საქალაქო თვითმმართველობისა ქალაქის მცხოვრებთა, სხვებთან შედარებით, ერთ ნაწილს მეტად ცხადს უპირატესობას ანიჭებს. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს, შესძლოა და სასურველი თუ არა ამ გვარ შემთხვევებში რაიმე კორრექტივების შეტანა გამწვავებულ ურთიერთობის დასაწყნარებლად და უკმაყოფილებათა მოსასპობად. თუ ეს შეუძლებელი ან არა სასურველი აღმოჩნდა, ცხადია, გაბატონებული ერი უველგან თავის ვიწრო ეროვნულ პოლიტიკას გაჰყვება და საფიქრებელი შეიქნება, რაზე-და უნდა დაემყაროს კავკასიელ ერთა თანხმობა. სადაც თანხმობის პრინციპი ჰმოქმედობს, იქ შეუწუნარებელია, თითოეული ერი ყოველ კერძო შემთხვევით თავის საკუთარ ეროვნულ პოლიტიკისთვის სარგებლობდეს. ამ შემთხვევაში თავის თავად იბადება საკითხი: ფუძე ი ცნება ხომ არ არის თანხმობისადმი მისწრაფება?

**Kumagava.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმე ქოჩაკიძეს ვაჟიშვილი გიორგი ჭალადიდელი დაიბადა სამეგრელოს სოფ. ჭალადიდში, სენაკის მაზრაში. ახალგაზრდა გიორგიც აჰყვა თანამედროვეთა ფეხის ხმას, დაემონა თანამედროვეთა სისუსტეს და სამხედრო სამსახურში შევიდა. ამ სამსახურის გამო იძულებულ იქმნა რუსეთში გადასახლებულიყო. რუსეთში დარჩენამ, რუსის ქალის შერთვამ ცოლად, მერე სამოყვახო უსიამოვნობამ*) პოეტი სრულიად მოსწყვიტა ჩვენს ქვეყანას და მწერლობას. 1882 წლიდან მოკიდებული ჭალადიდელის ნაწერი დაბეჭდილი არაფერი უნახავს მკითხველ საზოგადოებას. მხოლოდ 13 წლის შემდეგ დაბრუნდა პოეტმა თავისი ხანგრძლივი დუმილი. 1895 წლის ჟურნალ „მოამბე“-ში დაიბეჭდა მისი წერილი და იმასაც ჭალადიდელთან, როგორც პოეტთან, საერთო არაფერი ჰქონდა. ამ წერილში ავტორი არჩევდა ერთ სამხედრო კითხვას. ამ დროს პოეტს უკვე რუსის ჯარის პოლკოვნიკის ხარისხი ჰქონდა და რუსულ სამხედრო ლიტერატურაში ცნობილი იყო, როგორც გამომგონი ერთის გაუმჯობესებულ ხიდისა, ომიანობის დროს გამოსაყენებლად. დაიბეჭდა ამგვარვე ერთი ლექსიც, მაგრამ უკანასკნელში ნასახიც აღარ იყო „მახსოვს პირველათ“-ის ავტორისა. ამის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებასაც აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა და რუსეთშივე გარდაიცვალა.

თუმცა პოეტმა უცბად გაითქვა სახელი, გარნა საზოგადოება იცნობდა მისს მხოლოდ თითო-ოროლა ლექსს; მის ნაწერების ერთად თავის მოყრა და ერთ კრებულად გამოცემა დღეს აქამდე არ მოხერხდა და საზოგადოებაც ამის მიზეზით ჭალადიდელის ნიჭს საკმაოთ ვერ გასცნობოდა, არამც თუ ეს, თვით მისი სახელიც დავიწყებას მიეცა ასეთის კრებულის უქონლობისა გამო. „მოგონებისა“ და „მეგრულ ფაცხის“ ავტორის სახელის დავიწყება ბრალია, სხვა რომ არა იყოს რა...

განსვენებულს საკმაო ქონება დარჩა. ამ ქონებას დაემკვიდრა პოეტის ძმა ალექსანდრე ქოჩაქიძე, ქუთაისში ცნობილი ნაფიცი ვექილი, რომელიც შარშან გარდაიცვალა. პოეტმა, როგორც ხმა დადი-

*) პოეტი ცოლს გაეყარა და ერთადერთი ვაჟიც ცოლმა წაიყვანა.

ოდა, თავისს ძმას ანდერძად დაუგდო: მისგან დატოვებულ ქონების ერთი ნაწილი მის ნაწერების გამოცემისათვის მოეხმარებინა. განსვენებულმა ალექსანდრე ქოჩაქიძემაც მე მომანდო მისი ძმის ნაწერებისათვის ერთად თავი მომეყარა და დასაბეჭდად დამემზადებინა. თანაც გადმომცა სახელმძღვანელოდ პოეტის ხელთნაწერი რვეული ნაწერებისა.

პოეტის ლექსები იბეჭდებოდა ჯერ ჟურნალ „კრებულში“ (1877—1878 წ.წ.), შემდეგ გაზეთ „დროებაში“ და აგრეთვე გრ. ჩარკვიანის სახალხო კალენდარშიაც შეხვდება კაცი ორიოდე ლექსს. ლექსებს გარდა „დროება“-შივე ფელეტონებად იბეჭდებოდა გ. ჭალადიდელის სცენები მეგრელ-გურულთა ცხოვრებიდან. ეს ის ხანებში იყო, როცა პოეტი ტფილისში სცხოვრობდა და ქართულ სცენაზე მონაწილეობასაც იღებდა, როგორც სცენის-მოყვარული. თვით პოეტს ხელით ნაწერ რვეულში ისეთი არაფერი აღმოჩნდა, რომ უკვე დაბეჭდილიარ ყოფილიყო. შეგვხვდა მხოლოდ რამდენიმე ექსპრომენტი, რუსულად სხვა და სხვა პირთა ალბომებში ჩაწერილი, რუსეთში ყოფნის დროს.

მთელმა ნაწერებმა გ. ჭალადიდელისამ, ერთად შეადგინა ერთი კარგი მოზრდილი რვეული. რომლისაგან უნდა გამოვიდეს ასე 300-400 ბეჭდური გვერდი. 1897 წელს ეს რვეული და მასთან ერთად პოეტის ხელ-ნაწერიც განსვენებულს ალექსანდრე ქოჩაქიძეს გადავეცი. მას აქეთ განვლო 7-8 წელიწადმა. ალექსანდრე ქოჩაქიძე შემხვდა და ვკითხე დასაბეჭდად განმზადებულ რვეულის ბედი. ასე მითხრა: „გრ. ვოლსკის გადავეცი გადასასინჯათ და თანაც იონა მეუნარგიას ჩემის ძმის ბიოგრაფიის დაწერა შევუკვეთე. მაგრამ იონას ამბავი ხომ იცით... მეგრელია, მაგრამ მუშაობაში ქართლელზე უფრო მძიმეა. იმას ვუცდი ამდენი ხანია. უბიოგრაფიოდ კი არ მინდა წიგნის დაბეჭდვა. ჩემის ძმის სურათიც მინდა ლეიპციგში გავაკეთებინო ბროჰაუზის ფორმასაო. ეს იყო 1905 წლის გაზაფხულზე...

ასე და ამ გვარად, 12 წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც გ. ჭალადიდელის ნაწერებს თავი ერთად მოეყარა, მაიის დაბეჭდვის საქმეს არაფერი ეშველა. და საბუთიცა გვაქვს ვიფიქროთ, რომ **დღეს არავინ ჰზრუნავს** მათის დაბეჭდვისათვის, რადგანაც ვისაც შეეძლო და ვინც მოვალე იყო ეზრუნა, დღეს, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, —მე მოგახსენებთ განსვენებულ ალექსანდრე ქოჩაქიძის შესახებ. მასასადამე, ვინმე სხვამ უნდა იკისროს ჩვენის საყვარელ პოეტის ნაწერების გამოქვეყნება. უკეთუ კერძო გამოცემელი არავინ გამოჩნდა, მაშინ, მეტი რა გზაა, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ უნდა იდვას თავს ეს საქმე. წიგნის გამოსაცემლად საჭირო ხარჯს იმედი გვაქვს თვით ალექსანდრე ქოჩაქიძის მემკვიდრენიც გაიღებენ, რადგან მათზე გადმოსულ პოეტის ქონებაში მის ნაწერების გამოსაცემი თანხაც შედიოდა.

რაც შეეხება თვით გ. ჭალადიდელის ნაწერების კრებულს და მისის ხელით ნაწერ რვეულს, დარწმუნეს ბით თქმა არ შეგვიძლია, თუ ვიხელშია ან ერთი და ან მეორე. გვგონია კი, რომ უნდა იყოს ან განსვენებულ გრ. ვოლსკის ქალაღდებში, ან და იონა მეუნარგიასთან, ან თვით განსვენებულ ალექსანდრე ქოჩაქიძის ოჯახში.

ეს საგანი იმდენადაა საზოგადო ხასიათისა, იმდენად ეინტერესება საზოგადოებას საყვარელ პოეტის ნაწერების კრებულის ნახვა, რომ დარწმუნებულნი ვართ, რომ ვისაც კი რამე კავშირი აქვს ამ საქმესთან და, მათს შორის პატივცემული ბ ნი იონა მეუნარგიაც, პოეტის ნიჭის თაყვანისმცემელთა აუწყებენ საქმის მდკომარეობას და ესრედ დააკმაყოფილებენ მათს სრულიად კანონიერს ცნობის-მოყვარეობას. გვეყოს ამდენი დაუდევრობა და დუმილი. ზედ-მეტი დუმილი შეუნდობარ დანაშაულობაში ჩამოგვერთმევა შთამომავლობის წინაშე.

სიტყვამ მოიტანა და ჩვენს წერილში ჩვენი მეორე არა-ნაკლებ საყვარელი და უდროვოდ გარდაცვლილი პოეტი გრ. ვოლსკი (უმწიფარიძე) ვახსენეთ. ჭალადიდელის მსგავსათ გრ. ვოლსკისაც არ უწერია ბევრი, მაგრამ ის, რაც დაგვიტოვა, სავსებით აღბეჭდილია ზეგარდმო ნიჭითა და მისს წრფელს ლექსებს არა ერთხელ აუგდერებია ქართველის გული. ჰფიქრობს-და ვინმე გრ. ვოლსკის ლექსების გამოცემისათვის? ან, იქნება, გრ. ვოლსკის ლექსებს ერთად დაბეჭდვასაც იმდენი უნდა ვუცადოთ, რამდენიც ჭალადიდელისას

ვუცადეთ (და ვუცდით კიდევ)? თუ გ. ჭალადიდელს არავინ დარჩა **პირადი მეგობარი**, რომ იმის ნაშრომისათვის იზრუნოს, გრ. ვოლსკმა ხომ ჩვენს შორის განვლო მთელი თავისი დღენი და სულიც ჩვენს ხელშივე აღმოხდა, ნათესავებიც რომ არ ვახსენოთ, საკმაოდ დარჩა განსვენებულს მეგობრებიცა და პატივისმცემელნიც. იმისი ნაწერების გამოცემასაც დიდი თანხა არ დასჭირდება. მაშ რაღა გვაბრკოლებს?

**თ. სახოკია.**

# ფრენა

## 1910 წელს

ტეხნიკის არც ერთ დარგი ისე სწრაფად არ განვითარებულა, როგორც 1910 წელს ჰაერში ფრენა.

აპარატები ერთი მეორეზე უკეთესები და გაუმჯობესებული, მოტორები წინანდელზე უფრო მჩატე და მძლავრია. უშიშარი მფრინავნი, რომელნიც არა დრკებიან არც ავი დარისა, არც „სიმალონსავით“ სიმაღლესა და არც ოკეანთა უსაზღვრო სივრცეების წინაშე.

თუ 1908 წელში ბლერიომ ლამანშში გადასერა და მთელი ქვეყანა გააკვირვა, შარშან ჩვეულებრივად გადაიქცა ასეთი ამირობა პეტერბურგიდან კრონშტადსა და განჯიდან ტფილისში გადმოფრენა.

თუ ორი სამი წლის წინად რაიტის ოთხი საათის დაუსვენებლივ ფრენას განცვიფრებაში მოვყავდით, ეხლა ტაბუტოს ექვსი საათის ფრენა აღარ გვაკმაყოფილებს და ანრი ფარმანის რვა საათის ფრენას ვუცდით.

ამ საოცარ სისწრაფით განვითარების სათავეში, რასაკვირველია, საფრანგეთი უდგას და უსამართლობაც იქნებოდა, რომ იმ ხალხისათვის, რომელსაც წარმოშობა ჰაერში ფრენის მამა მთავარი—**მონგოლფიერს**, პირველობა ვერ ჩამოართმეოდა. ამ მხრივ, შედარებით, სხვა ერები გაციცებით შორს ჩამორჩენილნი არიან და თუ ფრანგებმა საფუძლოდაც ისე მხნედ განაგრძეს მუშაობა, მათ ვერავინ წამოეწევა. ეს ნათლად დაგვანახვა უკანასკნელმა საერთაშორისო გამოფენამ პარიზის სალონში, რომელსაც სამართლიანად „საფრანგეთის აეროპლანების გამოფენა“ დაერქმევოდა, რად განაც იქ თითქმის ხმოლოდ ფრანგების აეროპლანების და მოტორების მეტს ვერას ნახავდით.

სისტემის მხრივ ამ წელს ბევრი ახალი არა შეუსტანია-რა. საკმარისია გადაავლოთ თვალი ახალ სისტემებს რათა დაინახოთ, რომ ისინი გაირჩევიან ძველ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ სისტემებიდან მხოლოდ მცირედის წვრილმანებით, ძირითად ტიპებად აჭიმდის რჩება: მონოპლანებისათვის—„ბლერიო“-სა, ლატამის „ანტუანეტა“-სი, „რეპის“ და სანტოს—დიუმონის „კრაზანა“-ს აპარატება, ბიპლანებისათვის კი—„რაიტისა“, „ვუაზენი“-ს და მათი სახის ცვლილებითა „ფარმანის“ და „კურგისი“-ს ბიპლანები. დანარჩენი სისტემების უმრავლესობა ამათ გადაკეთებასა და კონსტრუქციაში წვრილმან გაუმჯობესებას წარმოადგენს.

ამათ რიცხვს არ ეკუთვნის მხოლოდ **„კოანდას“** სისტემის ბიპლანი, რომელსაც ჰაერის ვინტის (პროპელერის) მაგივრად „ტურბინა“ აქვს; „ტურბინა“ ისრუტავს ჰაერს და შემდეგ მას ფრთებისაკენ უკუაგდებს. ეს ტიპი სრულიად ახალია, მაგრამ ჯერ გამოცდა ვერ მოასწრეს და იმისი თქმა თუ რამდენად საუმჯობესო იქნება, ჯერ ადრეა.

გარდა ამისა აღსანიშნავია **ხაანის** სისტემის ბიპლანი, რომელიც ჩვენის ახალგაზდა გამომგონელის—ა. ახმეტელაშვილის—მოდელს ძლიერ წააგავს. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ სლოანის აპარატი გადმობრუნებული ახმეტელაშვილის სისტემაა და პირველს დამჭერი ზედა პირი უფრო ვიწრო აქვს ვიდრე ქვედა.

საყურადღებოა აგრეთვე **ანრი ფარმანის** სისტემის მონოპლანისა, რომლის დანიშნულებაა წყლიდან აფრენა და წყალზე დაშვება; ამის—და შესაფერად ამ ზღვის ვეება აეროპლანს შესაფერი მასალისაგან აქვს გაკეთებული ტანი და ფრთები. (სურ. მე 2).

ამათ გარდა **საყურადღებოა ბლერიოს** მონოპლანე, რომელიც ორის ზედა-პროპელლერით მუშაობს და მოტორის ამუშავება თითონ პილოტს (მფრინავს) შეუძლიან სხვის დაუხმარებლად. ასე რომ ამ აპარატით ყოველ ალაგიდან შეიძლება აფრენა; შემდეგ **დიუპერდუსენის** მონოპლანით, რომლის პროპელლერს ექვსი ნიჩბის პირი აქვს ბოლოს, —**ბრეგეტის** ბიპლანი, რომელსაც ექვსი კაცის აყვანა შეუძლიან.

ძნელი სათქმელია, რომელი სისტემა სჯობნის: მონოპლანისა, თუ ბიპლანისა. თუ შარშან წინ ბიპლანებმა ყველგან გაიმარჯვა და შარშან უპირატესობა თითქმის ყველგან მონოპლანებს ერგო ერთიცა და მეორეც სამწუხაროდ გაუმჯობესებამდე ჯერ კიდევ შორს არის, მხოლოდ მონოპლანებს უფრო მეტი გზა აქვთ გავლილი გაუმჯობესებისაკენ, ვიდრე ბიპლანებს და შეიძლება სამწუხარო გამარჯვებაც ამ უკანასკნელებს დარჩეთ. სლოანისა და სიმარდის მხრივ მონოპლანები ბევრად **სჯობნის** ბიპლანებს. ეს არის მიზეზი, რომ 1910 წლის დამლევამდე საუკეთესო რეკორდები მანძილსა და სიმაღლის მონოპლანებს დარჩა.

აი საერთაშორისო რეკორდები: სიმაღლის რეკორდი დაამყარა **ლეგნიემ** „ბლერიოთი“; მან 3200 აღლის სიმაღლემდი მიაღწია; ხანგრძლივობის რეკორდი **ანრი ფარმანმა** დაამყარა; თავისავე სისტემის ბიპლანით მან 8 საათსა და 15 წუთს იფრინა; სისწრაფის რეკორდი **ბლერიომ** დაამყარა, რომელმაც „ბლერიოთი“ საფრანგეთიდან ვერსამდე გაიარა. დაუსვენებლად ყველაზე მეტი მანძილი (445 კილომეტრი) ტაბუტომ იფრინა ჭართან ბრძოლის რეკორდი ჩვენმა თანამემამულემ ერისთავმა დაამყარა. სიმძიმის ატანის რეკორდი ბრეგემ დაამყარა—5 მგზავრით და თან აიტანა 420 კილოგრამი (24 ფუთამდე) ტვირთი. ამათგანი უმეტესობა ფრანგებია. სახელდობრ: ლეგნიე, ფარმანი, ბრეგე და ჟაბიეტი.

როგორცა ვხედავთ, საუცხოვო კონსტრუქტორებთან ერთად ფრანგებს დიდებული პილოტებიცა ჰყავთ და არც გასაკვირია ეს, რადგანაც აქამდის გაცემულ 380 ავიატორის დიპლომიდან 220 რგებია ფრანგებს, დანარჩენი კი სხვა ერებს (40—გერმანელებს, 30—ინგლისელებს, 18—ავსტრო-ჰუნგრელებს, 18—რუსებს, 17—ამერიკელებს და 15 იტალიელებს).

სამწუხაროდ უკანასკნელმა წელმა ძლიერ ბევრი თავდადებულ ადამიანთა სიცოცხლე იმსხვერპლა. ჟურნალ „ჰაერში ფრენა“-ს (გამოანგარიშებით დეკემბრამდე სულ დაღუპულა 27—30 მფრინავი ამათგან მხოლოდ შვიდს არა ჰქონია პილოტის (მფრინავის) დიპლომი.

აპარატის სისტემის მხრივ მსხვერპლი ასე განაწილდება: „რაიტის“ აპარატზე ფრენის დროს დაღუპულან—11; „ფარმანზე“ 6; „ბლერიოზე—4; „ანტუანეტზე“—2; თავიანთ კონსტრუქციის აპარატებზე—4; „ვუაზენის“ ბიპლანზე—1; „ბრეგეს“ ბიპლანზე—1 და პლანერზე—1 (ლილიენტალი). მათ შორის ფრანგები, რომელნიც მთელი ქვეყნის პილოტების რიცხვს ორჯერ აღემატება, უფრო მეტნი დაღუპულან: სახელდობრ 8; დანარჩენები ეროვნების მიხედვით ასე განაწილდებიან: გერმანელები—5, იტალიელები—5, ამერიკელები—4, ბელგიელები—2, ინგლისელნი—2, რუსები, ესპანელები, ავსტრიელები და ჰოლანდიელები—თითო თითო.

მიუხედავად იმისა, რომ ავიაციის ყოველი მსხვერპლი პირდაპირ შემაძრწუნებლად, ტრაღიკულად იღუპება, მათ ალაგს მაშინვე სხვანი იჭერენ და გულადად დანავარდობენ ჰაერში. ეს იმედს გვაძლევს, რომ კვლავ გავიგონებთ „ალპებზე“ გადაფრენის ამბავს რომლითაც საბრალო გმირის შავეზის უდროოდ დაღუპვის სამაგიეროს გადუხდით „სიმბლონს“.

არ შეიძლება ითქვას, რომ ავიაციის განვითარებით დაეცა სფეროთი (შარით) ფრენის ინტერესი. რასაკვირველია, პირველმა ძლიერ გაუსწრო უკანასკნელს, მაგრამ ეს უკანასკნელიც მოულოდნელად თან და თან ვითარდება წინანდელთან შედარებით.

რამდენიმე ხნის წინად პარიზში საერთაშორისო ფედერაციაში მყოფ

---

ქალმა დედობა უარჰყო და თრფიალს და სიამოვნებას დაეწაფა, უსაზღვრო თრფიალს და უძლებ სიამოვნებას.

მართლაც, ვინა სთქვა და დაამტკიცა, რომ სექსუალურ გრძნობებს ქალის ცხოვრებაში მეორე ხარისხოვანი ადგილი ეჭიროთ. შეიძლება არ დაეთანხმოთ იმათ (ვეინინგერს, მაგალითად), ვინც ამტკიცებს, რომ ქალის ბუნების დამახასიათებელი თვისება იყო, არის და იქნება მისი სექსუალობა. ამ აბსოლუტურის ფორმით შეგიძლიანთ უარყოთ ქალის სექსუალობის საკითხი, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ წარსულში და აწმყო სოციალური და ოჯახური პირობები განსაკუთრებულად ხელს უწყობდნენ ქალში სექსუალობის განვითარებას და მის ფსიქიკაში ამ სექსუალობის ჩაქსოვებას. როდესაც ადამიანს ყოველგვარი სამოქმედო და სავარჯიშო ასპარეზი გამოკეტილი აქვს, გასაოცარი არ უნდა იყოს, რომ მასში სექსუალ-ემოციანალური მხარე იღვიძებს და ხდება სიცოცხლის საძირკვლად. მართალია, ქალის სექსუალობა შებორკილი იყო ოჯახით, საზოგადოებრივ წესით და ჩვეულებით, მართალია, რომ იგი მასში პოტენციალურად ჰბუდობდა, ხოლო არ შეიძლება არა ვსთქვათ. ისიც, რომ ზოგიერთ ისტორიულ მომენტებში ქალი ჰლაპარაკობდა ჩვეულების მოთხოვნას და მის მიერ შებოჭილ ბორკილებს უკუაგდებდა. ასე იყო ძველ საბერძნეთის ისტორიის ერთს ეპოქაში, როდესაც გეტერიზმის სახით მოხდა არა მარტო ინტელექტუალური განთავისუფლება ქალისა, არამედ სექსუალურიც. ასე არის დღესაც, როდესაც პოტენციალურად მყოფ ქალის სექსუალიზმს ფართო სავარჯიშო მოედანი გადაეშალა თვალწინ.

ასე რომ, როდესაც ქალმა წამოაყენა პრობლემა — სექსუალობა თუ დედობა და სექსუალობისკენ გაიწია და ზურგი უბრუნა დედობას, აქ იგი უცნობ ნიადაგზე არა სდგებოდა. თავის პოტენციალურად მყოფ სექსუალობას მხოლოდ გასავალი გზა მისცა. საგულისხმოა, როგორ ისახება ეს მოვლენა, ქალის სექსუალობის განთავისუფლებისა, თანამედროვე ლიტერატურაში. გაიხსენეთ ისევ ამ დოკუმენტებს, სადაც აღბეჭდილია ადამიანის ხორცის და სულის ტრაგედია.

ტერეზიტას სექსუალობა, როგორც ვნახეთ, წარბ-შეკრული და სევდიანი სქესუალობაა. მაგრამ არის სქესუალობა, სადაც თითქმის არავითარი უკმაყოფილება და მწუხარება არ იმალება, სადაც იგი ავხორც ბუნების გაუმაძღრობაა მართოდენ და აქედან გამოწვეულ უკმაყოფილების ან სიხარულის გაძღომხატველი. ამ მხრივ საინტერესოა ზოგიერთი ახალი მოთხრობა და რომანი რუსულ ლიტერატურისა. ალექს. ტოლსტოის კატენკა (იხ. მოთხრობა „Сватовство“ Шиповниъ 13), არამც თუ არავითარ თანაგრძნობას არ უბადავს მკითხველს, ზიზღსაც იწვევს მის გულში. გონებაში განვითარებული, მომრიგებელ-შუამავლის ქალი, ჯანსაღი და ბიწიერებით აღსავსე, მოუსვენრად სცხოვრობს, რადგან, ვნებით ამღვრეული სისხლი, მის გულს და ხორცს მყუდროებას არ აძლევს. იგი არავითარ საშუალებას არ ერიდება მრუშის დასაკმაყოფილებლად. ფიზიკური კავშირი აქვს ავადმყოფ და გამოჩერჩეტეულ ძმასთან. მოთხრობის ზოგიერთ ადგილიდან სჩანს, თუმცა ბუნდოვანად, რომ ეს ქალი მამასთანაც არის დაკავშირებული. სახლში იწვევს სოფლის „სტაროსტას“, მასთან ერთად ქეიფობს და მრუშობს დორბლიან ძმის თანადასწრებით. ერთის სიტყვით, ეს ქალი ყოველ მამაკაცს სქესუალურის თვალით უყურებს და მზად არის დაჰნებდეს არა მარტო მას, ვინც მას მოინდომებს, არამედ ვისაც იგი თვითონ მოინდომებს. თავ სამტვრევი საგანი არა სჩანს ამ მოვლენაში. ავნუსხოთ იგი მხოლოდ ფაქტიურ სინამდვილის მხრივ. არციბაშევის ჟენია უკანასკნელ რომანში „У Послѣдней черты. Земля“ № 5), ეშხიანი, ვიწრო, წითელ-ფერის კაბაში გამოწყობილი არტისტი-ქალია, ჟენიასთვის ტრფიალი და სიყვარულის თამაში ახალი ამბავი არ არის. მიხაილოვი (სანინის ვარიაცია) მოსწონს, მაგრამ ადვილად არა ნებდება, იმიტომ კი არა, რომ რასმეს იცავდეს, ან რაიმე სწამდეს, არამედ მას უყვარს ჟენი, ამღგზნებელი და სისხლის აღმვრეველი თამაში. იგი აწვალებს მიხაილოვს და ამასთან კი თვითონ უფრო ემონება ეშხის ძალას. მიხაილოვი, გაცოფებულია სიბრაზით და ავხორცის აშლილობით. ერთ შეხვედრის დროს, როდესაც ჟენია ჩვეულებრივად იკლაკნებოდა და იგრიხებოდა, მიხაილოვი სწვდა მას წკეპლით, რომელიც ხელში ეჭირა და გაშმაგებულად ცემა დაუწყო, გაუხურა ხელები, მხრები და ზურგი. ჟენია ერთბაშად მიყუჩდება, ცხვარივით მოდუნდება და უვარდება მიხაილოვს ხელში, რომელიც მხეცურად იპყრობს მას. აშკარაა, აქ გადაჰარბებულ სექსუალობასთან გაქვთ საქმე. ძველი მოტივი სქესთ შორის ბრძოლისა თანამედროვე პირობებში მიდუნებულია. და აი მის გამოსაცოცხლებლად წკეპლა ყოფილა საჭირო. ბიწიერებას წკეპლაც ანიჭებს თურმე მეტ სიტკბოებას.

მეტის ყურადღების ღირსია ჟენია ალ. რემიზოვისა (**Крестовья сестры Шип. № 12**). რემიზოვი ფატალისტ-პესიმისტია. ცოდვა, უბედურება, გლოვა და ტირილი—აი სურათი ამა სოფლისა. დამნაშავე კი არ არის. (**Никого нельзя оявиноватить**). მისი გმირებიც ასეთი ფატალისტ - პესიმისტებია. ჟენია, უბადრუკი საცოდავი ქალია. რა არ გადაჰხდა მას თავზედა, მაგრამ ბრალს არაფერში არავის არა სდებს. დამნაშავე მე თვითონ ვარ, თუ უბედურებას განვიცდიო. არც ერთ კაცს, ვინც კი შეხვედრია, ისე არ გაუვლია მის გვერდით, რომ მასზედ ძალა არ ეხმარა. თუმცა ტანჯვით და გულის-ტკივილით, მაგრამ ყველას ნებდებოდა, თავის ღვიძლ ძმასაც. რატომ უნდა დაემდუროს ძმას და გაჰკიცხოს იგი? „ბევრს ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, ხელი არ ეხლო მისთვის, მაგრამ არა შეისმინა რა. და არ შეისმინა იმიტომ, რომ არაფერი ეყურებოდა და არაფერს არ ამჩნევდა, იმიტომ რომ დაბრმავდა. და დაბრმავდა იმიტომ, რომ მასში (ქალში) იყო რაღაც დამბრმავებელი. და ჟენია ყველას ამართლებდა, მხოლოდ თავის თავს ჰკიცხავდა იმიტომ, რომ მასში იყო რაღაც, რაც აბრმავებდა და აყრუებდა იმათ, ვინც მასზედ ძალას ხმარობდა (**„за какую то свою суть слѣпящую и оглушающую, которая людей бросала на нее“**).

ასე რომ თითქოს ამ დანაშაულობის და ცოდვის გულისათვის არის საჭირო შელახვა ადამიანის პიროვნებისა, თითქოს მისთვის ეს შელახვა პიროვნებისა ის სასჯელი იყოს, რომელსაც უნდა დაჰმორჩილებოდა. მაგრამ, ეს „სასჯელი“ თვით ჟენიასათვის ხანდისხან „სასიხარულო“ იყო. როდესაც იგონებდა; როგორც ციგანოვმა (ახალგაზდა ტეხნიკოსი, რომელსაც ეხმარებოდა საპროპაგანდო საქმეებში) გააუპატიურა იგი და ამ გარემოებას ადარებდა იმ დღეს, როდესაც მასზედ ძმამ იხმარა ძალადობა, მათ შორის დიდ განსხვავებას ხედავდა. (**„вѣдь ничего общаго не было въ брашнинѣ вечеръ съ тѣмъ цыгановскимъ опаснымъ и радостнымъ вечаромъ“**). მაშ სახიფათო უოფილა ამ ხასიათის „მსხვერპლი“ და „დასჯა!“ ეგ იმასი ჰგავს, რომ ვინმე უნახავ ცეროდინა კაცუნას ხელში ტკბილეულობა ჩაუვარდეს, ისუნსლებოდეს და საქვეყნოდ კი გაიძახოდეს, ეგ ჩემი დასჯა და, მსხვერპლიაო. არა, ათასჯერ არა. აქ მსხვერპლს ადგილი არა აქვს. სექსუალურ ორგანიზმს მსხვერპლის ხასიათი იმ ორგანიულ ხანაში ჰქონდა ოდესაც რელიგია და ცხოვრება ერთი და იგივე აქტი იყო ადამიანისათვის, როდესაც ორგანიზმი რელიგიის მოთხოვნილებად იყო ალიარებული (დიონისეს კულტი) და ჩვენს დროში, ჩვენს არა-ორგანიულ ხანაში, როდესაც ამგვარი სიმრთელე და სინტეზი რელიგიასა და ცხოვრების შორის შეუძლებელი გახდა, ჩვენს დროში ამ ხასიათის სექსუალობას რელიგიოზურ მსხვერპლის ფეხი არც აქვს, არც შეიძლება რომ ჰქონდეს.

ამიტომ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ გაცილებით ნაკლებ პროტესტს და ზიზღს იწვევს სექსუალობა აქ, სადაც იგი არ იმალება, არ იმოსება სავანაში, სადაც იგი ამაყობს თავის ურცხვობით და მედიდურობს თავის აღვირაშვებულობით (ვედეკინდებს ლულუ, მაგალითად). აქ ნამდვილი ორგიაზია, ხოლო ორგიაზი თანამედროვე, ორგიაზმი დაობლებულ სულისა, რომელიც სცოდის და ამ ცოდვაში დროებით შვების ჰპოვებს. ამ დაობლებულ სულს სწყურია მუდმივი, განუწყვეტელი და შეუჩერებელი „ცოდვა“ რათა მუდმივი და უშრეტელი წყარო ჰქონდეს შვების მოპოვების და სულის დამშვიდებისათვის.

აქ შევჩერდეთ. ხელში საკმარისი მასალა გვიჭირავს ამ ჟამად და ჩვენც შეგვიძლიან ახალი მწყობრი ხასიათი მივცეთ აქ აღძრულ საკითხებს და მათს ნათელ საყოფად კიდევ რამდენიმე მოსაზრება გამოვსთქვათ.

**არჩილ ჯორჯაძე.**

## Ужасный пожар в Нью-Йорке.

**Погибло 25 человек.**

Вчера в 4 часа утра в Нью-Йорке произошел ужасный пожар, причинивший огромные убытки и стоивший жизни 25 человекам.

Пожар произошел в 6-этажном доме № 100 по Бродвею, на углу Принс-стрит. Дом принадлежит Джону Вудворду, который сдает его под различные конторы и склады.

Пожар начался в 4 часа утра в подвальном этаже, где помещается склад фотографических принадлежностей. Сторож, ночевавший в подвале, был разбужен дымом и поднял тревогу. Когда пожарные прибыли, пламя уже охватило весь подвал и поднималось по лестницам.

Пожарные начальники немедленно вызвали по телефону 2 и 3 батальоны, которые прибыли через 5 минут. Но было уже поздно. Пламя распространилось по всему зданию, и пожарные могли только спасать людей.

Всего погибло 25 человек. Из них 18 женщин и 7 мужчин. Большинство погибших — работницы фотографических мастерских, которые помещались на 3-м и 4-м этажах.

Многие погибли от удушья, другие — выбросившись из окон. Тела погибших были найдены на тротуаре и в подвале.

Среди погибших — 19-летняя Роза Коэн, которая работала в мастерской на 4-м этаже. Ее тело было найдено у выхода.

Причина пожара еще не выяснена. Полиция арестовала сторожа и двух рабочих для допроса.

## Пожар в Нью-Йорке.

**Погибло 25 человек.**

Вчера в 4 часа утра в Нью-Йорке произошел ужасный пожар, причинивший огромные убытки и стоивший жизни 25 человекам.

Пожар произошел в 6-этажном доме № 100 по Бродвею, на углу Принс-стрит. Дом принадлежит Джону Вудворду, который сдает его под различные конторы и склады.

Пожар начался в 4 часа утра в подвальном этаже, где помещается склад фотографических принадлежностей. Сторож, ночевавший в подвале, был разбужен дымом и поднял тревогу. Когда пожарные прибыли, пламя уже охватило весь подвал и поднималось по лестницам.

Пожарные начальники немедленно вызвали по телефону 2 и 3 батальоны, которые прибыли через 5 минут. Но было уже поздно. Пламя распространилось по всему зданию, и пожарные могли только спасать людей.

Всего погибло 25 человек. Из них 18 женщин и 7 мужчин. Большинство погибших — работницы фотографических мастерских, которые помещались на 3-м и 4-м этажах.

Многие погибли от удушья, другие — выбросившись из окон. Тела погибших были найдены на тротуаре и в подвале.

Среди погибших — 19-летняя Роза Коэн, которая работала в мастерской на 4-м этаже. Ее тело было найдено у выхода.

Причина пожара еще не выяснена. Полиция арестовала сторожа и двух рабочих для допроса.

## Пожар в Нью-Йорке.

**Погибло 25 человек.**

Вчера в 4 часа утра в Нью-Йорке произошел ужасный пожар, причинивший огромные убытки и стоивший жизни 25 человекам.

Пожар произошел в 6-этажном доме № 100 по Бродвею, на углу Принс-стрит. Дом принадлежит Джону Вудворду, который сдает его под различные конторы и склады.

Пожар начался в 4 часа утра в подвальном этаже, где помещается склад фотографических принадлежностей. Сторож, ночевавший в подвале, был разбужен дымом и поднял тревогу. Когда пожарные прибыли, пламя уже охватило весь подвал и поднималось по лестницам.

Пожарные начальники немедленно вызвали по телефону 2 и 3 батальоны, которые прибыли через 5 минут. Но было уже поздно. Пламя распространилось по всему зданию, и пожарные могли только спасать людей.

Всего погибло 25 человек. Из них 18 женщин и 7 мужчин. Большинство погибших — работницы фотографических мастерских, которые помещались на 3-м и 4-м этажах.

Многие погибли от удушья, другие — выбросившись из окон. Тела погибших были найдены на тротуаре и в подвале.

Среди погибших — 19-летняя Роза Коэн, которая работала в мастерской на 4-м этаже. Ее тело было найдено у выхода.

Причина пожара еще не выяснена. Полиция арестовала сторожа и двух рабочих для допроса.

## Пожар в Нью-Йорке.

**Погибло 25 человек.**

Вчера в 4 часа утра в Нью-Йорке произошел ужасный пожар, причинивший огромные убытки и стоивший жизни 25 человекам.

Пожар произошел в 6-этажном доме № 100 по Бродвею, на углу Принс-стрит. Дом принадлежит Джону Вудворду, который сдает его под различные конторы и склады.

Пожар начался в 4 часа утра в подвальном этаже, где помещается склад фотографических принадлежностей. Сторож, ночевавший в подвале, был разбужен дымом и поднял тревогу. Когда пожарные прибыли, пламя уже охватило весь подвал и поднималось по лестницам.

Пожарные начальники немедленно вызвали по телефону 2 и 3 батальоны, которые прибыли через 5 минут. Но было уже поздно. Пламя распространилось по всему зданию, и пожарные могли только спасать людей.

Всего погибло 25 человек. Из них 18 женщин и 7 мужчин. Большинство погибших — работницы фотографических мастерских, которые помещались на 3-м и 4-м этажах.

Многие погибли от удушья, другие — выбросившись из окон. Тела погибших были найдены на тротуаре и в подвале.

Среди погибших — 19-летняя Роза Коэн, которая работала в мастерской на 4-м этаже. Ее тело было найдено у выхода.

Причина пожара еще не выяснена. Полиция арестовала сторожа и двух рабочих для допроса.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, დღევანდის ეს წიგნები, არ გაუგზავნია... ბოდიშს ვიხდი ჩამოთვლილ პირთა და საზოგადოდ ხელის მომწერთა წინაშე წიგნების დაგვიანებისთვის და ვეცდები, ამ დღეებში დაკმაყოფილებულ იქმნან ყველანი...

**დუტუ მეგრელი.**

---

ბ. რედაქტორო გთხოვთ თქვენ პატივცემულს „სახალხო გაზეთ "ში ამ წერილს ადგილი დაუთმოთ, ვინმე „ასო" იწერება თელავიდან ქართული გალობა და თელავის სამღვდელოება", რადგან ავტორი ეხება გალობას თელ. სას. სასწავლებელში და დიდის საყვედურით მიხსენებს ქართული გალობა აქ ჯეროვანად არ არის დაყენებულიო

ბ. „ასო" თელ. სას, სასწავლებელში ქართულ გალობის ვითომდა დაქვეითების მიზეზად ის მოჰყავს, რომ მე დატვირთულ ვარ სხვა და სხვა თანამდებებით. საკვირველია, ღმერთმანი, თუ ვეცოდები „ასო"ს რომ დავიღლები ბევრის შრომით, არ ვიცი, თუ არა და რა დაუშლის გალობას რომ თავისუფალ დროს არ ვტკეპნო ბულვარის ბილიკები და საქმე ვაკეთო, ან თვით. სასულ სასწავლებელში და ქალთა პროგიმნაზიაში.

სას. სასწავლებელში კვირაში 18 გაკვეთილი მაქვს, დანარჩენ თავისუფალ დროს, როდესაც ბოროსთან მეცადინეობა შეუძლებელია (გაკვეთილების დროს), რამდენიმე გაკვეთილს ქალთა პროგიმნაზიაში ვაძლევ და თავისუფალი დრო კიდევაც მრჩება. მაშ როგორ მოვიქცე, ბ. „ასო" რომ დღესასწაულებში მოწაფეებს არ ვარჩენთ სასწავლებლის ეკლესიაში საგალობლად ვითომდა იმისთვის. რომ მრევლი მყავს, შემცდარი აზრია მრევლი სასწავლებლის მღვდელს, ბ. „ასო", არა ჰყავს, გარდა მასწავლებელთა ორიოდე ოჯახებისა; გარდა ამისა, კანონით არც შეიძლება დაუშალოთ მოწაფეთ დღესასწაწაულებში მშობლების სახლებში წასვლა, და თუ თავის სურვილით რამდენიმე თელავში რჩება რომელთაც გალობა შეუძლიანთ. ზეობრივადაც ვალდებული ვარ, რომ საუფლო დღესასწაულებში მოვასწინო წირვა-ლოცვა სასწავლებლის ეკლესიაში, რაკი აკვირველია, სასწ. უმფროსის განკარგულებითაც.

"ასო"ს ისიც უკვირს თურმე, რომ მე, როგორც მღვდელი, თავისუფალ დროს წირვა-ლოცვაზედ უარს არ ვამბობ და სამღვთო-ვედრებას ვასრულებდი ან აქ ნამყოფი ჯარის ეკლესიაში (შარშან წინ ზაფხულში) და ან თელავის საკრებულო ტაძარში, ნუ თუ ბ. „ასო" ცოდვაა მღვდლისათვის წირვა-ლოცვის შესრულება!-.

ახალს კიდევ იმას მისი ყვედრებას „ასო", რომ რამდენიმე მგალობელთა გუნდს არ ვამზადებ მოწაფეთგან სხვა და სხვა ეკლესიებში საგალობლად. ბ. "ასო" უნდა იცოდეთ, ეს აკრძალულია, რომ მოწაფეთა სხვა ეკლესიებში საგალობლად სიარული აკრძალულია.

ამასთანავე მოვითხოვ თქვენგან, ბ. „ასო", დამიმტკიცოთ ქართულ გალობის ნამდვილ მცოდნე პირით: 1) რომ სასასწავლებელში და ეკლესიაში არ არის ნამდვილი „ქართლ-კახური"—თუნდ „ქარბელაანთ" კილოს გალობა და 2) რომ ყველა საგალობლები მწუხრისა, წირვისა და სხვა არ სრულდება მოწაფეთაგან (უხეიროდ) თავისუფლად და შეუცდომლად.

**მღვდელი მიხ. ელიზბარიშვილი.**


## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ვეტხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—11/* ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი** 11/—2 ს. შინაგან. და ბავშვთა ავად.

**ს ა ლ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

---

სპეციალური
## სამკურნალო
კანისა, ვენერიულის და ათასგვანის სნეულებათა.

ვლიკოკნიაყის ქ. N 9, გარანტიის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები **გ. ა. გედალინი და ი. ს. ზაგლუდოვსკი** 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეწვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მეშვათა შემოწმება.

მესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, მკურნალობა ელექტრონით წერილი. (0—6—3)

---

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გაიხსნა
მუხრანსკის ახალი კერძო
## სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. в 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალური ექიმები მიიღებენ.

**ნ. ს. ახპახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშვანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ბ. ბ. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ბ. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (ორშ., ოთხშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ბ. ი. კატანიანცი**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ბ. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშვანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 (Ehrlich-Hata 606).

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ბ. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—5—3)

---

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი
**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**
## ჯრა-კერვის წიგნი
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი შეთხზა.

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.
(100—336—2)

---

◀ მ ო ხ ე ლ ე თ ა თ ვ ი ს ▶
## თავმჯდომარე გეგეჭკორის ქალის თუნარელისა.

ოცდა ექვსი წლისა, ინტელიგენტი, ბრძენი, მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაკ ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—43)

---

მ ო ხ ე ლ ე თ ე თ ა თ ვ ი ს ბ ე ბ ი ა - ქ ა ლ ი ს
## მ. ი. კრემერისა
ნიკოლაზის ქ. სახ. № 47.

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელად—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგად უვლიან, საექიმო დახმარებას ჰუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოდ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½/ 11½ საათამდე (100—276—11)

---

საბირო მუშაითი
## აგენტები
ადგილობრივ და ქალაქ გარედ ფრიად ხელსაყრელ და მომგებიან საქმისთვის
**Тифлисъ, Елизаветинская № 192.**
(3—321—3)

---

საზოგადოების თავმჯდომარე
ბებია-ქალის
## მ. ი. ფოროსტიანოვისა
მიიღებიან ორსულნი მოსალოგინებლად ყოველ დროს—დღითა და ღამით, არის ავრედვე საიდუმლო ოთახები.
რეუტოვის ქ. № 10. (100—279—12)

---

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
## ი. გრიშაშვილის ლექსები
გამოცემა „სოროკინისა"
ფასი 10 კაპ.
(0—2)

---

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალზე
## „განათლება"-ზე
(წელიწადი მეოთხე)

1911 წლის იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პროგრამით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით 3 მ., ნახევარის წლით 2 მ. სოფლის მასწავლებლებს მომავალ წელშიაც ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მ. სოფლის მასწავლებლებს, ვინც 3 მ. ერთბაშად გაიოგავენის, 1910 წლის ნომრებიც გაეგზავნებათ. ცალკე ნომრები გასაყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის-მომწერლები იქნებიან. ხელის-მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის" რედაქციაში. პროვინციებში კერძო აგენტებთან. რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერლებს დროზე აცნობონ თავიანთი ადრესები.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія
**Л. Г. Боцвадзе.**

(5—უ.—4) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

---

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
## ჯეჯილი
**ოცდა მეორე წელიწადი**

მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და ნოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს; **სიღნაღში**—კნ. ნ. სვიმ. ანდრონიკაშვილს; **ჭიათურაში**—ნიკო წუწუნავას და **ბათუმში**—მ. კალანდაძეს. წლიურ ხელის-მომწერლებს დაურიგდებათ ორი წიგნი: 1) „ღვთის წყალობა", დასურათებული მოთხრობა გ. წერეთლისა. 2) საყმაწვილო ამბები, კრებული სურათებით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифл. въ Редакц. Грузинсаго дѣтск. жур. „Джеджили".
(5—5) რედ.-გამომცემელი **ან. ჯაბანაშვილი-წერეთლისა.**

---

„სორაპნის" ბიბლ. გამოცემა
გამოვიდა გასასყიდად
I
## 1911 წლის კედლის კალენდარი
ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელებისათვის. კალენდარის უკანა გვერდზედ მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი სახოგადო მოღვაწეებისა. ფასი კალენდრისა 40 კ.
II
## სახალხო კალენდარი 1911 წ.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარში ჩართულია მრავალი ხ-რათები და ქარტა საქართველოსი. ფასი 20 კ. კალენდრები იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში და კავკასიის რკინის გზის შკაფებში.

ვისაც ჰსურს გასასყიდად გამოიწეროს, მან უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით:
**Тифлисъ Т-ва „Сорапанъ".** (18—244—18)

---

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის
## სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. კეგველოვების მაღაზიას
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
**ახალ-ახალი ოსეტრინა (ხუთი) და სევრიუგა (ტარანა).**
**ზიზილალა**
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დრშები და სურგიელები
იღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და ფითალი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ
აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(ჭ—128—73)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო ნახატებიანი ჟურნალი (Кетовая) ხიზილალა

---

მოითხოვეთ ბუნებრივი ყახური ღვინოები ფირმისგან ნაწილობრივ
## გრანდ-კახეთია
შუა ბაზარი, სახლი 13.

ფასები: **ბოთლი 20—50 კ., ვედროებით 2 მან. 40 კ.-დან 8 მ.-მდე მიტანით.**

ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულს და კავკასიურ საჭმელებისა.

(20—240—19) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა** და **ს. სამადაშვილი**

---

მოითხოვეთ
## სწორე და მკვიდრი საათებს
ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უზომ საათები სახე სახურავით «ს ე გ ი ა», რომლებიც სილამაზით და ხიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეიდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ გვწავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დაბეჭდულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო დია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოუჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან დია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—22)

---

## წიგნების იაფად გაყიდვა
სხვა და სხვა გარემოებისა და პირობების გამო, იძულებული ვართ ქვემორე აწერილი წიგნები გავყიდოთ შემდეგ ფასებში
**დაკაზმული წიგნები ოქროს ასოებით:**

1. **საძართველოს გეოგრაფია,** გაბეშტი პატონიშვილისა, ავტორის სურათით და საქართ. ქარტით 1 მ.
2. **საძართველოს ისტორია,** მოხე ჯანაშვილისა მესამე (უკანასკნელი), გამოცემა ქრისტეს დაბადებამდის, 1 მ.
3. **რომაელების ისტორია,** 1 მ.
4. **ძველი საძართველო,** 1 მ. 50 კ.
5. **ძართველ კათოლიკეთა ისტორია,** თამარაშვილისა, ავტ. სურათ. 1 მ. 50 კ.
6. **ძილილა და დამანა,** თომურაზ მეფისა, გამოც. თავ. გ. გურიელისა. 3 მ.
7. **დიდი ვეფხვის ტყაოსანი,** მრავალი სურათ. ფერ. წამ. დაბეჭ. 1 მ. 50 კ.
8. **ვეფხვის ტყაოსანი,** მრავალი სურათებით, ჩვეულებრივ ქაღალდზე 40 კ.
9. **ალ. ყაზბეგის** სრული თხზულება, ბიოგრაფ. ავტ. სურათით 3 მან. 50 კ.
10. **ე. ნინოშვილის** სრული თხზულება ი. გომართელის კრიტიკ. განხილვით, ბიოგრაფ. და ავტ. სურ. 1 მან. 50 კაპ.
11. **ასის წლის შემდეგ,** რომანი 1 მ.
12. **ამბები ინგლ. ისტ.** 1 მ.
12. **გლეხი კაცი,** თანამედ. რომანი, ერ ცხოვ., თარგ. ი. პოლუმორდვინ. 1 მ.
14. **საოჯახო, სამეურნეო და ჰიგიენო** ნარკვევები, მრავ. სასარგ. ცნობა, 10 მ.
15. **გასაოცარი ამბები,** (700 ამბავია შიგ მოქცეული), 1 მ.
16. **ნინო ოჩიბ.** ლექსები, ავტორ. სურათით, 80 კ.
17. **სპარტაკი.** რომანი რომაელებ. ცხოვ. ქრისტეს დაბადებამდის, 1 მ.
18. **ძველ. და მეცნიერებისათვის** წამებული, 1 მან.
19. **დონ-კიხოტი,** მრავალი სურ. 1 მან.
20. **ლალატი,** მრავალი სურათით, 1 მ.
21. **სიყვარული,** რომანი ლექსად, სურათებით, 1 მ.
22. **ცხოვრება და სიყვარ.,** რომანი, 80 კ.
23. **ბუნება და ცხოვრება,** სურათ. 80 კ.
24. თავ. დავით **ერისთავის** სრული თხზ. 1 მ. 60 კ.
25. **მაძლიმ გორკის** 1-ლი ტომი 1 მ.
26. **ავძ. ცაბ.** მეორე ტომი 80 კ.
27. **თამარიანის ქალი,** შრომა და ფუფუნება, რომანი, 1 მან.
28. **კალმასობა** 1 მ.
29. **ცხოვრება** მეფე გიორგისა, 1 მ.
30. **განდეგილის** ლექსები და მოთხრობები 50
31. **ს. მესხის** ნაწერები, 80 კ.
32. **გლეხ-კაც. ისტორია,** 2 მ

დაუკაზმავი წიგნები:

33. დანიელ **ბოკლაძე** და მისი დრო, ფ. მაზარაძისა, 40 კ.
34. **სურამის ციხე,** დ. ჭონქაძისა, 15 კ.
35. ვაი ჭკუისაგან, გრიბოედოვისა ლექსად თქმული, განდეგილისა, 35 კ.
36. **ანარქიზმი,** ნ. ჟორდანიასი, 25 კ.
37. **პრესისა,** ნ. ჟორდანიასი, 25 კაპ.
38. მწყანე სამეფო, ლუნკევიჩისა, 20 კ.
39. **სამწუხ. შემთხვევა,** ნინოშვილისა 30 კ.
40. **დიდი მოურავი,** პოემა, 80 კ.

სხვა და სხვა მრავალი რუსული და ქართული წიგნები იყიდება ძლიერ იაფად, ე. ი. ნახევარ,—მესამედ და მეოთხედ ფასებში.

(0—296—6) ადრესი: **ტფილისი, ხიმშიაშვილის ქ. № 4, კ. თავართქილაძე.**

---

## სინჯეთ და დარწმუნდით!
ინგლისის ძარხნის საპნით ნარეცხი თეთრეული.

ჰსინჯეთ და პირადად დარწმუნდებით, რომ ინგლისური ქარხანა **კლინალ ლიმიტედის** ● ვ ა შ ე ნ ე ს ● საპნით გარეცხილ თეთრეულს 1½—2 წლის მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.

იგი სრულიად უვნებელია და უმნიშვნელოდ, ხელების გაუფუჭებლად 15 წუთში გარეცხავთ თეთრეულს.

სიყალბის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მთავრობის მიერ დასტამბულ მარკას № 10499—12752.

მთავარი წარმომადგენელი **ვიქტორ ზატკალიკი,**
შიდა-კავკასიის წარმომადგენელი **ზ. ნ. ხრხრიანცი**
და **ტ. ზ. ბაბაშინოვი.**

С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.
(15—322—5) Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

---

## საოჯახო ნომრები ტფილისში
ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ძმ. მილოვებისა № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეები ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიანიც არის.

**ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე: თვიურებს დაეთმობათ.**
30—181—30) პატრონი ნომრებისა **ს. მოსცელიძე**

---

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
## საგუჯარტერიო კურსები ნ. ვ. აგრამოვისა.
საქარ. „ვაჭრობ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორი, რომელიც მიღწინებულია ფინან. სამინისტრ. სამოსწ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კოშერციულ სასწავლებელთათვის,

**ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ**

ეკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხის თვის განმავლობაში სწავა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.

**კურსების მასწავლებლებად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასწავლს, თხოვნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების მემდგე ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამას გარდა კურსებთან ცალკე განსილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მოძზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად, კურსების დაარსებელს ტფილისში: ნიკოლაზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. გისც პირდაპირ ავტორისაგან ფასდადებით გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—7)